



**მარტო**

სოლი (ქმარს) შეხედე, რა უცნაური წითელი ვარსკვლავია?!  
მმარნი (ცოლს) წავიდეთ, წავიდეთ! მისი სხივები თვალებს წაგვიხდნეს.



# ქმსას ნაამბობი

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლათ ს. ხარბეთში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი. ხარბეთლებს გრანდიოზული მიტინგი გაემართათ. ჩვენს გამოჩენას იქ მყოფნი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მიტინგი ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა და სიტყვა ჩვენი კომისიის თავმჯდომარეს მისცა, რომელმაც დიდხანს ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ. დილას დაწყებული მიტინგი, საღამოს დასრულდა... (კომისიაში ათი კაცი შევდიოდით და თვითნებური ჩვენგანი დაახლოვებით ორ-ორ საათს ლაპარაკობდა).

ჩვენი გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა შუა ხნის ქალი, რომელსაც თავი თეთრი თავსაფარით წაეკრა.

— ვინ არის ეს ქალი? — შევეკითხე ერთ ახალგაზრდა გლეხს.

— ვინ არის და ჩვენი სოფლის შეგნებული და აქტიური ქალია—კეხა ჭირნახულაშვილი.

— ამხანაგებო, — დაიწყო კეხამ — დღეს მარტო მშრომელი ქალების დღესასწაული კი არ არის, დღეს მშრომელი მამაკაცების დღესასწაულიცაა... დღეს საერთაშორისო მშრომელი ხალხის დღეა... მშრომელი ქალები განთავისუფლებული ვართ საბჭოთა ქვეყანაში, რადგან ამ ქვეყნის მშრომელი ხალხი თავისუფალია... ჩვენც თქვენთან ვართ, ამხანაგო მამაკაცებო, ამ საერთო საქმეში და ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვეწევით სოციალისტურ წყობილების განმტკიცებისათვის. ჩვენც თქვენთან ვართ იმ კოლექტიურ მუშაობის მშენებლობაში, რომელიც დღეს ასე ფართოთ იშლება მშრომელთა მტრის სამწუხარო და მოყვარეთა სახისარულოთ.

— ამხანაგებო, ნება მომეცით წარსულიდან გაიზოტ ერთი ამბავი. ჩვენს სოფელს წინათ მენშევიკებიც ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე, რომლებიც ათასნაირ ჭორებს სთხზავდნენ ბოლშევიკებისა და საბჭოთა წყობილების მიმართ. მახსოვს, ერთხელ ჩვენს სოფელს ესტუმრა ცნობილი მენშევიკი, მაშინდელი მთავრობის წევრი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო და გაათავა ბოლშევიკების ლანძღვა-გინებით.

— იცით თქვენ, — მიმართა მან ხალხს, — ბოლშევიკები რას გვიზამენ რომ გაიმარჯვონ? აგვაოხრებენ, დაგვხვრტენ... ცოლებს წაგვართმევენ და თვითონ დაიროგებენ... ესე იგი ცოლების სოციალიზაცია მოხდება... ეს იცოდეთ, თქვენ მამაკაცებო, იცოდეთ თქვენც ქალებო. იყავით ფრთხილად და თუ თქვენ შორის ბოლშევიკები გამოჩნდეს, დაიჭირეთ და მთავრობას გადაეცითო...

მე მაშინ ზეფრი არაფერი მესმოდა, მაგრამ მისი სიტყვა არ მომეწონა.

— გვატყუებს-მეთქი, გავიფიქრე და ჩემს ბიჭს შევეკითხე, რომელიც ბოლშევიკობდა:

— შვილო, მითხარი, მართალია რასაც მავი ამბობს, თუ გვატყუებს მეთქი?

— სტყუის, დედა, სტყუის. ბოლშევიკები მხეცები არ არიან, მეც ხომ ბოლშევიკი ვარ, შენი შვილი! — მითხრა ჩემმა ბიჭმა და მეც ტრიბუნაზე გავეჩნდი.

მე აღშფოთებით ვლაპარაკობდი და არ მახსოვს რას ვამბობდი... მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ბოლშევიკებს დაუწყე დაცვა... იმ დამხვვე დამიჭირეს და ციხეში გამგზავნეს. — დაასრულა თავისი სიტყვა კეხამ.

ნიანგი.

## ტარების წესები

### მშვიდალთა ფედერაციის პრეზიდიუმს

დიდი ხანია ველით და ველით და ვერ ვეღირხეთ თქვენს კლუბს ამდენხანს, ნუ თუ ეს საქმე ასეა ძნელი რომ დასაწყისა დღესაც არ უჩანს.

### ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშვიდალთა კულტურულ კავშირის პრეზიდიუმს

ხსენებულ კავშირს ჩვენი საღამო, — მოხაწონია მისი მიზანი, — პრეზიდიუმს კი მოვავგონებდით, — ნეტავ არსებობს რამდენი ხანი რომ არ ვგვხმობდა დღემდე სხვა თქვენი (თუმცა პლენუმი გამართეთ ერთი) ო, საქმეები თქვენ გაქვთ რამდენი, რაც გააკეთეთ „სღვაშია წვეთი“.

### კოლონეთის სემის

შენს ამბავს, რომ გაიგონებს ეგონება მკითხველს ჭორი, ხჩანს სემში მრავალია საპატიო ბოქსიორი, თვით სემი არენაა სათამაშო მუშტი-კრივის უსტაბაში პილსუდსკია დირიჟორის სმაზე ჭიკვის.

## „ფემინისტი“



როგორც ესმის ზოგიერთ ქმარს ცოლის განთავისუფლება ოჯახურ კარჩაკეტილობისაგან.





კულაკი:—წამოდი ჩემთან; ხომ ხედავ აქ აღარ გვეცხოვრება?  
 ცოლი:—შენ რომ ცოლათ შემ ირთე, ჩემთვის არავის უკითხავს, მიყუდე როგორც ღარიბის შვილი. მე ხელა მამასთან დავრჩები, კოლექტივში მიმიღებენ!

**სნეული სანატორიუმში (ქობულეთი)**

სანატორიუმი ვნახე,  
 ჩუმჩაირა, ჩაირა,  
 დაღრეჯოდა უშნოთ სახე.  
 კუკუ.  
 გვოვებ სასადილო სახლი,  
 ჩუმჩაირა, ჩაირა,  
 წინ შემომხვდენ: კატა, ძაღლი,  
 კუკუ.  
 პური ხისა, ხორცი ქვისა,  
 ჩუმჩაირა, ჩაირა,  
 კბილს ეცა და ყბა გაიჭკა  
 კუკუ.  
 ებლა კლუბი ვინახულე,  
 ჩუმჩაირა, ჩაირა,  
 ქონდათ ვირთხებს ნამარხულებს,  
 იქ ცეკვა და დაირა.  
 ავადმყოფსა წიგნი უნდა  
 ჩუმჩაირა, ჩაირა,

—თავში ირტყი ქვა და გუნდა“.  
 „ხავი“ იტყვის, აი, რას!  
 ბჭის კართანა დუქანი,  
 ჩუმჩაირა ჩაირა,  
 შიგ კვარტები მსუქანი.  
 კუკუ.  
 მუშა ამბობს: „არ მინახავს  
 საბი თვეა, კინო,  
 არც წიგნები, არც თეატრი,  
 მო, ჩავლუნწოთ ღვინო.  
 დამით ვახვალ, კარიდორში“  
 ჩუმჩაირა, კუკუ.  
 ძაღლს გადუორე, ეგრე მოჩრები,  
 ამ სიბნელეს უკუენს.  
 აკუტურუპრო, მოგვგვდევ  
 მაგ მოწყალე თვალებით,  
 ერმოლინის გადამკიდე  
 რატომ არ გებრალგებით?  
 „მიკო“.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს საბჭოთა ქვეყნის განმტკიცებას. ზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ, მიქელ - გაბრიელის ჩაის ქარხნის გამგე გვარამიას სხვათაგანად გაუგია შეჯიბრების მნიშვნელობა და თავის თავის შრომის ნაყოფიერებაზე მოუბრუნებია კენი.

მიქელგაბრიელის ჩაის ქარხანას ჰქონდა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებელი ფონდი 100 მანეთი. გვარამიამ შუბლზე ხელი მიიღვა და უცებ გადასწყვიტა — რა საჭიროა მუშების წახალისება, ისანი ისედაც წახალისებული არიან მუშაობაში, მოდი ამ ფულით მე წავიხალისებ თავს, ამან კი შეიძლება კარგ ხასიათზე დამაყენოს და მუშებს ლანძღვა - ვინებას თავი გავანებო, თორემ, მართლაც მე რომ მუშებს ვავინებ, არც ასე შეიძლება, ქე შეიძლება იქნება მარა „იასნო დალშე“, ვინ რას გამიგებს თავი რომ წავიხალისო. ეს გაიგონ კი არა ჩვენს სოფელს მიქელგაბრიელი ქვეა და სახელწოდების გამოცვლა ვერავის მოუხერხებია. — სთქვა თავისთვის გვარამიამ, ას მანეთიანს შუბლზე ვახედა, გაუჭკრიტა და მარცხენა ჯიბე წაიხალისა. მარჯვენა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ფანქარს წვერზე მიადურობდა და „ნავსიაკი სლუჩაი“ -სთვის დასწერა წერილი:

„ითვლება ჩემზე კავშირის ფული ასი მანეთი შეჯიბრის მოწვევის საფასურის გასაცემად“.  
 გვარამია.

ეს ცნობა მოლარეს მიაკრა შუბლზე, გუნებაში წაუხოქა მიქელ - გაბრიელს. თავისთვის თქვა — მიქელგაბრიელი, როგორც სჩანს ჩვენს სოფელზე დიდი ამაგი გაქვს, რომ სახილწოლობის გამოცვლა ვერავინ გაბედა, დამდე მეც ამაგი და ნუ ვაბარჯვებივებ ჩემი ქარხნის ნურც ერთ მუშას, რომ მათი წახალისება არ მოხდეს და ასი მანეთით ერთხანს ხელი მოვიტოვო.

მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და ამ ქარხანას იწვია ტარტაროზის ბრიგადა. წახალისებულ გვარამიას შემწვარ კიბოსავით გაუხდა სახე, თვალბუმში ისე მოაწვა ცეცხლი, რომ გეგონებოდა იწვისო. გვარამია დარწმუნდა, რომ მიქელ - გაბრიელი არ არსებოდა და ვერც უშეიღოს, მაგრამ თვით ქარხანას კი დროზე უნდა შეველა, თორემ გვარამიამ რომ თავის თავი წაიხალისოს, ეს არ არის ჩვენი ანდელი ამოცანა. გვარამიას კი ურჩევთ ათი ჰიქა ჩაი ზედიზედ დალიოს, რომ ციებ - ცხელების ოფლი იღინოს და ფული თავის დანიშნულებებისამებრ ჩააბაროს.



# სიკოს სკეპტიციზი

— წადი, სიკო, ქალაქს, ძიილე ქარხნიდან რკინის გუთნები და მოიტანე, თორემ ხომ ხედავ, თვისის დრო უკვე კარს მოგვდგომია და ჩვენ კი ჯერ არა ვართ საგაზაფხულო მუშაობის დაწყებისათვის მზად! — უთხრა კოლექტივის თავმჯდომარემ, საბამ, იმავე კოლექტივის წევრს სიკო უნდილაშვილს, რომელიც კოლექტივითა შორის სხვა გლეხებზე უფრო შეგნებულ და გამოცდილ კაცად ითვლებოდა.

სიკო დასთანხმდა თავმჯდომარის წინადადებას და გასწია ქალაქისაკენ.

ქალაქს ჩასული სიკო თითქმის მთელი ერთი დღე დაბარბალოდა იქით-აქეთ, ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე და თვალს ვერ აშორებდა სწრაფი ტემპით ამოძრავებულ აღმშენებლობას.

— დედა, რამდენი ახალი ქარხნები, რამდენი ახალი სახლები, ქუჩები თუ ბაღები აუგიათ, დაუგიათ და აუშენებიათ... არა, რამდენჯერ გამიარია აქ, ამ ქუჩის კუთხეში, ახლა რომ ვეღარ ვცნობილვო მას სრულიად.. რა უქნიათ, როგორ დაუნგრევიათ, აქ რომ საცოდავი ქოხი იდგა და როგორ ვეშაპივით ასთავლა და ასმუცელა სახლი წამოუყუდებიათ ზედა... აქ რომ ჭიკაძეებსავე მივრილი ქუჩა მივიკანებოდა და მივლაზნებოდა, რამისიფართე ქუჩით შეუცვლიათ იგი... არა, ტრამვაიც რომ კი გაუყვანიათ და გაუხმიათ - გაუშარდა შარბილით ეს ოდესმე სოფლის ორღობესაგით ჩამკვდარ-ჩახშობილი ვიწროები...

და სიკოც ზოგჯერ თითქმის საათობით პირდაღებული აცქერებოდა და აკვირდებოდა ასე ყოველივე ახალს, რომელიც დიდი ხნის უნახავი ბავშვით უცბათ ასე გაზრდილიყო და დავაშკაცებულიყო სიკოს თვალში, სიკოს ჯერ კიდევ სოფლური სიმყარით დამძიმებულს წარმოედგინაში.

მიწასკომიდან სიკოს მისცეს რაღაც ქალადის ნათლეთი, რომელიც მან მიღებისთანავე სწრაფად გააქანა ნაწილი ქარხნისაკენ.

— თქვენ ვინ გნებათ? — ზრდილობიანათ შეეკითხა ქარხნის ალაცაფის კარებთან გამოქაბდებულს სიკოს დარაჯი.

დარაჯმა ხელი გაიშვირა ვეგებრთილა მშვიერ ხახასაგით დაღებულ ქარხნის მთავარი კორპუსისაკენ და ამით ანიშნა სიკოს თუ სითაც უნდა წასულიყო იგი.

სიკოც მოკრძალებით მიუახლოვე-

და შესასვლელს, ავლო კიბე და შეჩერდა კარებთან.

— ვინ გნებათ? — გაისმა კართან მჯდომი კაცის პირიდან იგივე შეკითხვა, როგორითაც სიკოს ალაცაფის კარებთან დარაჯმა მიმართა.

— დირექტორი! — აქაც იგივე ლაკონიური პასუხი სიკოსი. ჯარის კაცი წამოდგა, კარი შეაღო და სიკოს მიუთითა.

სიკო ფეხაკრეფით შევიდა ღია კარებში. ის ელოდა ქარხნის დირექტორის ნახვას, ვინ იცის, რა სახებით და ფერებით არ წარმოუდგებოდა სიკოს ოცნებას უცნობი და უნახავი დირექტორი, მაგრამ...

სიკოს გავიციებას, უფრო კი — მის უხერხულობას და დაბნეულობას საზღვარი არ უწინა: საგარდელში, მწვანე მათდ - გადაკრულ ვეებერთელა მაგიდას იქიდან იჯდა ფერგალეული, ჩია ტანის ქალი...

არა, პირველად სიკოს არც კი უგრძენია, რომ ეს ქალი იყო. მას ეგონა თითხმეტ-თუთხმეტე წლის ქმარული და გაუკვირდა: როგორ? ნუ თუ ეს არის დირექტორი? ნუ თუ ასეთი უზარმაზარი საწარმოს ბედი ამ ბაღის ანდესო? — მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მის წინ ბაღი კი არა, ასე შუახნის მანდილოსანი იჯდა, რომელიც საქმის ქალადებს ბეჯითად ჩაჰკიცხებდა.

ამ მდგომარეობამ სიკოს ცოტად ფიქრებით წათამაშების საშუალება მისცა და მან სთქვა თავის გულში: — ალბათ, დირექტორის ცოლია, თვითონ დირექტორი კი სადმე გაცივდა და მისი ადგილი დროებით მის ცოლს დაუჭირაო.

მაგრამ წარმოიდგინეთ, სიკოს გავიციება, როცა ბოლოს ქალმა აართვა ქალადებს თავი და შეეკითხა სიკოს:

— რას გვიბრძანებთ?

— მმე... მ-მე... დირექტორთან... დაიბნა სიკო.

— მიბოძეთ, რა არის ეს. — და ქალმა ხელი გაიშვირა სიკოს ხელში დაჭერა ქალადისაკენ...

სიკომ იტვიტა და უნდობლობით გაუწოდა ქალადი...

— ათი გუთანი. ძალიან კარგი. — ქალმა ხელი დაჭირა მაგიდის კუთხეში ჩამწკრივებულ ერთ-ერთ ფოლთავანს.

განის კარგი გაიღო და დარბაზში შემოვიდა თანამშრომელი, რომელიც წინ ისეთი მორიდებ-მოკრძალებული პოზით შეჩერდა, რომ უნდობელ სიკოშიც კი თავი იჩინა ამ ქალისადმი ნდობისა და პატივის-

ცემის გრძობამ. იმან კი, რაც ამის შემდეგ მოხდა, ხომ სულ მოხიბლა და მოაჯადოვა სიკო.

— აი, ამ ამხანაგს, — და ქალმა ხელი სიკოსკენ გაიშვირა — გადასცემთ საწყობიდან ათ საუკეთესო გუთანს. ხომ იცი, კოლექტივისათვისაა განზრახული... მაგრამ მოითმინეთ, მე თვითონ დაგესწრებით.

ამ სიტყვაზე ქალი წამოდგა, ხელი წამოჰკრა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ პალტოს, სასწრაფოთ მხრებზე წამოიგდო და იმ თანამშრომლისა და სიკოს თანხლებით გასწია საწყობისაკენ.

საწყობში მისულ სიკოს აოცებდა და ქალის მზრუნველობა და ხალისიანი სიმუყიათე, რომელსაც ის იჩენდა სიკოსათვის გუთნების შერჩევაში.

— თუმცა ჩვენი ქარხანა ერთი-მეორეზე საუკეთესო გუთნებს ამზადებს, მაგრამ თქვენ ეხლად დაარსებული კოლექტივისათვის მე მაინც საუკეთესოების შერჩევა მიწდა. — პირზე ღიმილით მოუთხრობდა ქალი სიკოს და აუჩქარებლად გადადიოდა ერთი გუთნიდან მეორეზე.

ქარხნის საწყობში უთვალავი რკინის გუთნები ელაგა.

სიკოს სიხარბე ამ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამ ქალს თვითონ არ გამოეჩინა ამდენი მზრუნველობა გუთნების შერჩევაში.

ბოლოს ათი გუთანი გამოუწყვეს სიკოს, რომელიც ამ უკანასკნელმა დაუდო ალაცაფის კარებთან შეჩერებულ ურმებს და ასე გაამზადა ტვირთი სოფლისაკენ წამოსაღებათ.

— ვინ არის, თუ ძმა ხარ ის ქალი? — შეეკითხა სიკო თანამშრომელს გამომშვიდობების ხანს.

— ვინ უნდა იყოს, ჩვენი დირექტორია...

— დირექტორი! — გაიოცა სიკომ. რომელიც ჯერაც კი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ შესაძლებელი იყო დირექტორად ქალი და ისიც ასეთ დიდ ქარხანაში და სიკოს მენხიერებაში უეცრად ბნელ ღამეში გასროლილი მაშხალასაგით გაიგღვამ ამ რამდენიმე დღის წინად, ქალთა საერთაშორისო დღის მ მარტის სახეი მო მოხსენების დროს ორატორის მიერ სიტყვაში სანიმუშოდ მოყვანილმა ბელადის სიტყვებმა: „მზარეულ ქალი... აი უნდა შეეძლოს მართოს სახელმწიფო“.


და სიკოს უნდობლობაც, მისი სკეპტიციზში, საბოლოოდ მოტყდა.

მაზირა.



„თბილი შეხვედრა“

ფერილი  
კულაკის შვილთან



სოფლის ხვდებიან ზოგიერთ დაწესებულებაში დაწინაურებული ქალს.

შვილო, ძიტომ გასწავლე დედამაც, რომ გიარა, სიკოცხლე მომიწამლე, ჩვენზე ფიქრობ კი არა.

კოლექტივში მოეჩქა ჩვენი ავლა - დიდება, ღრანჭი გვერდზე მომეჩქა გოოს ცეცხლი მეკიდება.

„კომსომოლა“ შეგირთავს, ჩვენზე ფიქრობ აღარა, შენი ქვევა გულს მიკლავს არ გწამს ჩემი ქაღარა.

დედაშენს ისტერიკა დღეში სამჯერ მოუდის, ესტატე და ბერიკა დარდებს ველარ ოუდის.

კოლექტივს მეთაურობს გლახაშვილი რაქდენა, ვნედავ, რომ აღარ ხუშრობს, აღარ ღირს აქ დარჩენა.

წინად მოჯამაგირე მე რომ მყავდა მიხაკა, ეხლა გადამეკიდა და გული დამიხრაქა.

სოფლის სათავეშია; გაძვეებას გვპირდება, ერმილეც ამ დღეშია, შენგაა თუ ოა გვპირდება

დიდი კაცი იქნები, დაგვეხმარე პაწია, შვილო, ნუ მომიკვდები, ბედმა უკან დამწია.

აბა, შვილო, შენ იცი დაგვეხმარე მაქედან, ცოტას კიდევ მოვიციდი თვარ გაგვრეკეს აქედან.

მანი.

საბჭოს თავმჯდომარე ბესო (სინამდვილიდან)

— ეს გაუმარჯოს კოლექტივიზაციას, აღამიანი იმდენად ლმობიერი უნდა იყოს, რომ კოლექტივში ყველას უნდა გაუხსნას გზა, მე პირადად არ მომწონს ის შეხედულება, რომ კოლექტივებში მდიდრებს არ უშვებენ— ასეთი სიტყვები დააყოლა შავ ღვინოს საბჭოს თავმჯდომარე ბესომ.

— თქვენ ეხლა მოხსენებას ამზადებთ ალბად ანგარიშის ჩასაბარებლად— შეეკითხა ბესოს მისი თანამოქმედე.

— ჰმ, რა ცუდ დროს მოხდა საბჭოების საანგარიშო კამპანია, მაგრამ არა უშავს, ბესო ხომ კამპანიებში ცნობილია, ამ კამპანიაშიც მშრალად გაჩვეულ— სიტყვა ბესომ და კვარტს ფსკერზე აკოცა, ჭიქა ხელში შეათამაშა.

კამპანიაში ხომ დრო უნდა გავატაროთ, — აი ერთ ამბავს გაიმბობ ამხანაგო, ერთ მშვენიერ დღეს, როცა სოფლად ანტირელიგიური კამპანია მიდიოდა, მეც მივიღე კამპანიაში მონაწილეობა. ჩამოვიარე მეზობლები და ხუთი დღე გოჭების ქამით ტუჩები დამისკდა. ღვინოში ახირებული ჩვეულება მაქვს. მიყვარს ცხენის სახლში შე-

კნება. ერთხელ ნაჭეიფარი დავბრუნდი სახლში. ეს იყო 9—იანვარს, მოცხე ცხენს, მაგრამ ცხენი აღვილიდან არ დაიძრა, შეიძლება ცხენი ქე ასულიყო ივანეზე, მაგრამ ჩემმა ცოლმა გააბა კივილი, ბავშვები ტახტს ქვეშ შეძვრენ. მეზობლები მოცვიდნენ. ყველა თავისთვის ლაპარაკობდა—ყოჩაღ საბჭოს თავმჯდომარე ბესო. მან უფრო გამამხნევა, მინდოდა ქეთის გაგრძელება, დაუძახე მეგობარ შიოს, ივანეს, მაგრამ არავინ არ მოვიდა, მერე ერთი ცოლს მაგრად შეუზიღე ყურის ძირები, ამის შემდეგ კი ვინ იტყვის, რომ ბესო არ არის მაგარი საბჭოს თავმჯდომარეო— კმაყოფილებით დაათვა მან და გამშრალ ყელში მალიანათ გადაუძახა ნუნუა.

ასეთი იყო საბჭოს თავმჯდომარე ბესოს „მუშაობის“ ერთი დახასიათება. ბესოს ბევრი იცნობს. ის ტფილისის ოლქის ერთ-ერთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა, თუ რომელ სოფლის, ამას თვითონ ბესო გაიმბობთ საანგარიშო კამპანიის დროს.

ტარბრივი.



# რ ა ლ ი ო

**კვიჩიძეთი** არც ქალაქია და არც სოფელი, თუმცა იმას ნიშნავს, რაზეც კი რეალობით არის აღნიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ქალაქად ითვლება.

რადიოსთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი.

8 მარტი იყო—ქალთა საერთაშორისო დღე და, ამიტომ, თავყრილობის უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ.

— ალოო! ალოო! ალოო! ლაპარაკობს ტფილისი!— გაისმა ბოხი ხმა რადიოში.

— მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის კვიჩიძეთის აღმასკომის წარმომადგენელს ამხ. იაკინთე ბრტყელფართავას!— გაისმა რადიოში თავმჯდომარე ქალის ხმა, რასაც მოჰყვა მთელი კონფერენციის ტაში.

რადიოს მაყურებლებმა ყურები სცქვიტეს.

— ჩვენი იაკინთე ლაპარაკობს, აბა, კარგად მოვუსმინოთ. იაკინთე, კვიჩიძეთლებს არ გვაქაშო სირცხვილი! — გაისმა ხალხში ჩიჩქოლი.

იაკინთეს ცოლიც მოსულიყო რადიოს მოსასმენად. ქმრის გაგონებაზე, გულმა ჩქარი ცემა უწყო და სახეზე ცივი ოფლი დაასხა.

—...ამეგარად, ამხანაგებო, ქალი უნდა განთავისუფლდეს ოჯახურ კარჩაქტილობიდან.— ისმოდა რადიოში იაკინთეს ლაპარაკი. ქმრებმა უნდა შეიგნონ, რომ ცოლი ქმრის თანაბარია „ძუ იყოს თუნდაც ხვადია“,— როგორც ამას ამბობს ჩვენი ამხ. შოთა რუსთაველი. განსხვავება მათ შორის ამ მხრივ არაფერი არ არის. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ კიდევ მამაკაცები ქალებს უტყვიან როგორც დაბალ ლობეს, როგორც შინა-მსამსურს და, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევ მეტი — როგორც მონას. ქალები მიბმული არიან კერაზე; ისინი ვერ გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე და მონაწილეობას ვერ ლეზულობენ ახალი ცხოვრების დუდილში.

— სიცრუეა; ჩვენ არ ვუშლით დუდილში, ლობიოს მოხარშვა-დუდილში მონაწილეობა მიიღონ, პირიქით, ეს მათი საქმეა!— ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

— ჩვენ უნდა გავაცხოველოთ ქალთა შორის მუშაობა!— ისმოდა რადიოში იაკინთეს ლაპარაკი.

— ალბად არმოიყობაზე ამბობს!— ისევ ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

— მაგრამ, ამიერიდან, — ჰქუხდა რადიოში იაკინთეს სიტყვები, — ჩვენში არ უნდა დარჩეს არცერთი ქალი დანაგრული და უფლება-შეზღუდული ოჯახურ პირობების მიერ. არ უნდა დარჩეს არცერთი ქმარი, რომელიც თავის ცოლში ხედავს მხოლოდ-და შინა-მსამსურს, ხელქვეითს და უსუსურ არსებას!

ტაშმა დაჰფარა იაკინთეს უკანასკნელი სიტყვები.

— ალბად, მაგ ცოლიანი არ არის და რა ენაღვლება ჩვენ თუ ცოლები აგვიჯანყდება!— სთქვა ხალხში ბესარიონმა.

— ცოლიანი როგორ არ არის, კაცო! ეს ჩვენი იაკინთე ბრტყელფართავა იყო!— უთხრეს ბესარიონს.

— რა ბედნიერი იქნება მაგისი ცოლი! ქმარი მყავსო ძან უნდა სთქვას. კაციც ასეთი უნდა— ლაპარაკობენ სახლისკენ მიმავალი ქალები. — აბა ჩვენი ქმრები, ქმრები კი არა, ბატონები არიან, მრისხანე და სულთამბუთავი ბატონები!

—:—

**იაკინთე** მესამე დღეს დაბრუნდა სახლი.

მას კიდევ გაუკვირდა, როცა ცოლი ჩვეულებისამებრ კარებში არ შემოეგება და პალტო არ ჩამოართვა.

— რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ, რომ თავი შეგიკრავს?— იწყინა იაკინთემ ცოლის ცივი შეხვედრა.

— კარგად ვარ, ძალიან კარგად!— თამამად უთხრა ცოლმა.

— მაშ რატომ... რატომ პალტოს არ მხდი? ხომ ხედავ დალილი ვარ და...

— მე შენზე უფრო დალილი ვარ. ეხლახან მოვედი კლუბიდან, კინო-სურათს უჩვენებდნენ.

— რაო? კლუბიდანო?! რა შენი საქმეა, ქალო, კლუბი? ბავშსა და ოჯახს მოუარო ის გირჩევნია, თორემ... — თორემ რაო?

— კარგია შენ ნუ მომიკვდე, — გაცხარდა იაკინთე, — ქმრის სახლში არყოფნის დროს ცოლმა თეატრებში ისეირნე და ოჯახი მიატოვე. ვაგონილა ასეთი ამბავი?

— ქმრის არ ყოფნობის დროსო რომ ამბობ, ისე როდის იყო, რომ თეატრში წამიყვანე?

— თეატრი არ არის ქალის საქმე. ქალი შინ უნდა იჯდეს და ქმარ-შვილს უვლიდეს. ქალი ამისთვის არის გაჩენილი და არა ხეტიალისთვის.

— კაცო, შენ ხომ არ გავიყდი?

— ისეთად გავაგიჟე, რომ... ამის მეტი ჰქუა არა გაქვს? მარა ქალს ვინ მისცა პკუა! ქალს ჰქუა მოკლე აქვს, თმა კი— გრძელი.

— რაო?

— ისაო, რომ ქალს მოკლე ჰქუა აქვს და თმა— გრძელი.

— თქვენ, მამაკაცებს, როგორი გაქვთ?

— ჩვენ გავქვს გრძელი ჰქუა და მოკლე თმა.

— მამასადამე, ვისაც მოკლე თმა აქვს, მას გრძელი ჰქუა აქვს?

— დიახ, ასეა!

— მაშ აწ არც მე მექნება შენზე უმოკლესი ჰქუა! — და იაკინთეს ცოლმა თავიდან თავსაკრავი წაიძრო.

ქმარი სახტად დარჩა.

მის წინ იღვანოთქოს, სრულიად სხვა ქალი, თმა-შეკრეპილი.

— ღმერთო შენ დამიფარე! — იაკინთემ ინსტიქტიურად გადამწერა პირფარე, — ვის ოჯახში ჩადიხარ შენ ასეთ ამბებს? ვის უბედავ შენ ამას? შენ გგონია გამასულელებ? იცი ვინა ვარ მე? ჩემი ნალაპარაკევი მთელ ქვეყნიერებას გადასცეს რადიოთი, ტაშის ცემით მთელი დარბაზი გააყრონ, და შენ გინდა ასეთი კაცი გამაპაპულო, თავი მომქრა ხალხში და თითო-საჩვენებელი გამხადო? — და გულმოსულმა იაკინთემ ისე მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ ზედ მდგარი ჭიქა ავარდა და იატაკზე დაიფშენა.

— ყოჩაღ რადიოში მოლაპარაკევი, რომელსაც ქვეყნიერება გისმენს! — ეს ისეთი დამცინავი კილოთი უთხრა ცოლმა იაკინთეს, რომ ეს უკანასკნელი უცბად „განიახრალდა“. — მეც მოგისმინე რასაც ლაპარაკობდი. სინარულით აიგსო მაშინ ჩემი გული... გამეხარდა და, აი, ხომ ხედავ ამიერიდან მე ვარ შენი ცოლი — თანაბარ უფლებანი ამხანაგი. თუ რადიოში შენი ნალაპარაკევი ცხოვრებაში არ გატარდა, მაშინ ბაიყუში ყოფილხარ, რომ ისე გაჰყვიროდი ქალების განთავისუფლებაზე ოჯახურ კარჩაქტილობისაგან.

— რადიოდ დამლოჰა, რადიოდ, რომელიც ასე მომწონდა, მიხაროდა, მიყვარდა! — გაიფიქრა იაკინთემ და ცოლს ნელ-ტკბილად უთხრა: — ხომ კარგად ვლაპარაკობდი, გენაცვალე? ხომ მოეწონათ ჩემი სიტყვა?

— კი, ყველას მოეწონა, გარდა ბესარიონისა!

— ის უფიცია და შეუგნებელი. ქალზე პრიმიტიული წარმოდგენა აქვს. მას ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“ — ც არა აქვს წაკითხული და, აბა, ემანსიპაციის მას რა უნდა გაეგებოდეს?!





აღმასახა დიასხის ძე ძველი „პარტიულია“. ამ ამ საკვირველი არ იყო, რომ სოფელ მივარდნილაში ის სათავეში მოექცა საქმეს.

აღმასახან მოხერხებული კაცია. სხვათა შორის ამ მოხერხებით მან კარგად გამოაქაზა თავისი საქმე.

სოფ. მივარდნილა კი, მართლაც მივარდნილი სოფელია. იქ ძნელად შეხვედებით ისეთ ხელსაწყოებს. როგორც სხვაგან.

როცა რომელიმე კამპანია ტარდება, ამ სოფელს ესტუმრება ცენტრიდან ვინმე და საერთო კრებაზე გააცნობს ამა თუ იმ საკითხს. ამ გაცნობილ საკითხებს კი აღმასახანი მომხსენებლის წასვლის შემდეგ თავისებური უხურდავებს ხალხს და ყოველგვარ ანალ პოლიტიკას თავის სასარგებლოდ შეაბრუნებს.

— : —

ერთხელ სასოფლო სამეურნეო გადასახადი გაწერა ხდებოდა. ცენტრიდან მოსულმა პირმა მოხსენება გააკეთა გადასახადის წესწერად გაწერაზე.

გადასახადი გაწერა იქნა აღმასახანის მითითებით.

აკრფას შეუდგენ.

— კაცო, მე რა კულაკი მინახე, რომ ამდენი შეგიწერია ჩემთვის? — შეეკითხა ერთი გლეხი აღმასახანს.

— შენ იცი რას ჩივს კულაკი? — შეუბრუნა შეკითხვა აღმასახანმა.

— რომ არ ვიცოდე, არ გეტყობოდა!

— მე რე და შენ კულაკი არ ხარ?

— რით ვარ კულაკი? შენზე მეტი რა მაბაღია?

— აი, სულელი. ხომ გითხარი, რომ არ იცი რას ჰქვია კულაკი! კულაკი ეს რუსული სიტყვაა და ჰქვია მუწის. აქ ქონება არადერ შეუაშია. ხომ ვახსოვს მენშევიკების დროს მილიციაში მუშაობის იმუქრებოდი. ეხლა ბოლშევიკების მთავრობაა და, რადგან მუშტის ცემა არ უყვარო, გადასახადით ვინდიან სამაგიეროს.

— მართლაც და რას ვერძი ამ ბოლშევიკებს? მართლაც გადასახადს თუ მაქმარებენ სასჯელად, ვინ ჩივს. — გავიძრობ ტყავს და გადავიხდი. შემდეგ შეიძლება ჩვენებიც მოვადნე და შერბე მუშტი კი არა, წიხლებიც არ დამეშურება მიაგათვის! — ამბობდა ის გულში.

— შე რა გადასახადის გადახდა შემიძლია ამ მოხურებულ კაცს? თვალს არ მიჩანა და ყურს. არ მესმის, სახლი არ მაქვს და მიწა-მიზული, სამადლოდ მეზობლები მინახავინ! — უსაყვედურა ზალიკა ყრუსევილი აღმასახანს.

— რა ექნა, ჩემო ზალიკა, ხომ იცი ჩემი მთავრობის კანონები, რასაც ბრძანებს ის უნდა შესრულდეს. მე რომ პარტიული ვარ, ის შევადგინა სწორედ, რომ იმ გამოცემულ კანონებს თვალყურით ვადევნო და სისრულეში მოვიყვანე! — უპასუხა ზალიკას აღმასახანმა.

— კი მაგრამ იმ კანონში სწერია: დაახრჩვე კაცო! — გაბრაზდა ზალიკა.

— ხომ გაიგონე რა სიტყვა ცენტრიდან მოსულმა ამხანაგმა? გადასახადები უნდა გადახდეს იმ პირებსაც, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ... აბა მითხარი, ამ სოფელში შენს მეტი ვინაა სხვისი შრომით რომ ცხოვრობს? მიწას შენ არ თოხნი და ტყეს შენ არ ჩეხავ. აბა ერთი მითხარი, ვის ერქმევა, თუ შენ არა, სხვისი შრომით მოსარგებლე? ჩვენი მთავრობა, ჩემო ზალიკა, მუშურია, და აბა ჩემისთანა მუშას რომ გადახდევინოს, ეს რა სამართალი იქნება?!

ზალიკამ ბევრი ედავა აღმასახანს, მაგრამ ვერაფერი გააწყობა.

— : —

სოფელში აკრიფეს გადასახადი. აღმასახანს და მის მზავებს პირებს არაფერი გადაუხდით.

დიდხანს იყო ისე სოფ. მივარდნილაში, მაგრამ ერთ დღეს სულ სხვა ამბავი მოხდა. ცენტრიდან მოსულმა ამხანაგმა ბევრი ილაპარაკა სოფლად კულაკობის მოსპობისა და კოლექტივიზაციის შესახებ; ახსნა და დაახასიათა კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობა.

აღმასახანს არ მოეწონა კოლექტივიზაცია, მაგრამ რას იზამდა, მოვალე იყო მაინც კოლექტივის სასარგებლოდ გაეწია აგიტაცია ხალხში.

როცა მომხსენებელი წავიდა და მივარდნილის მცხოვრებნი აღმასახანს შემოეხვეინ გარშემო მოხსენების უფრო კარგათ გასაცნობათ, აღმასახანი ვითომ დიდი სიხარულით შეეგება ამ ამბავს და აღფრთოვანებით დაიწყო:

— ამხანაგებო, კოლექტივიზაცია მეტად ძვირფასია ჩვენთვის...

— ძვირფასია, ძვირფასი, მაგრამ ერთი გეთხარი, რას ნიშნავს მაგ კოლექტივიზაცია? — შეეკითხა ერთი.

— რავე არ იციო, ხალხნო? აი, მაგალითად, ამ სოფელში ცხოვრობთ ასი კომლი. გვაქვს ასი სახლი, ასი საბანი, ასი ცოლი და შეიდასი შვილი. დღეიდან კი ასე არ იქნება, გაცეთდება ერთი სახლი, ერთი ლოგინი, შეიყვარება ერთი საბანი, რომელიც ყველას გადაეფარება და ყველა ერთად დავიძინებთ.

— კი, მარა ცოლებს რა უნდა ვუყოთ? — დიძება ერთმა.

— ცოლებიც, და ქალებიც იქ დაწვება და კაცებიც, მაშინ არ იქნება შენი ცოლი, ჩემი ცოლი. მაშინ ყველა ქალი შენი ცოლი იქნება და ყველას შვილი — შენი შვილი.

— ისევე გვერდები არ ავიდვას!

— ისევე მეტი დაგეცემას!

— მაგ დღე არ მოგესწრება! — გაისმა ხმა.

აღმასახანსაც ეს უნდოდა. მან განგებ დაახურდავა კოლექტივის მნიშვნელობა, რომ გლეხებში უქმყოფილმა გამოეყვია და თავისი საქმე გაეჩარხა.

აღმასახანს აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო: სოფლის გლეხობამ ეჭვით შეხედა კოლექტივიზაციას.

— : —

— ამხანაგებო, კარგი იყო აქ კოლექტივის დაარსება! — დაიწყო ცენტრიდან ჩამოსულმა. — მაგრამ რაკი თქვენ წინააღმდეგ ხართ, დღე ნუ დაარსებთ კოლექტივს.

ხალხში ტაშის ცემა გაისმა.

— ალბათ არ გესმით ვერ თქვენ კოლექტივის მნიშვნელობა, მაგრამ როცა გავგებთ, მაშინვე დაარსებთ. — განავრძო ცენტრის კაცმა.

— თქვენ თუ გაცემთ თქვენ სოფელში კოლექტივი? — შეეკითხა ერთი. — გვაქვს ამხანაგო, და უნდა გითხრათ, რომ ჩენს სოფელს არაფერი არ აკლია. ამას წინადაც ცოლმა მომწერა, რომ ყველაფერი... — როგორ თუ ცოლმა? თქვენ ცოლმა გავს? — შეაწყვეტინა ერთმა.

— მყავს, ამხანაგებო, არც ისე ახალგაზრდა ვარ! — დაუბატა მან.

— კი, მაგრამ ვისთან წვება? — იკითხა ვიღაცამ და თავი ხალხში შემაღა.

— ეს რა შეკითხვაა, ამხანაგებო. მე მგონია მშრომელ გლეხობასთან მაქვს საქმე და არა ქუჩის ბიჭებთან...

— : —

და დაწვრილებით გააცნო სოფელს კოლექტივიზაციის მნიშვნელობა.

გლეხობა აღტაცებით შეხედა. იქვე გამოიტანეს დადგენილება მთელი სოფლის კოლექტივში გაერთიანების შესახებ.

— კი, მაგრამ, ვინ არის კულაკი? — იკითხა ხა ერთმა გლეხმა.

— ის, ამხანაგო, რომელიც დაქირავებულ შრომით ინახავს თავს, ჰყავს რამდენიმე სული საქონელი, აქვს მიწა, მიწული და ქონება.

— ასეთი ჩვენში აღმასახანია! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— თუ და, უნდა გადასახალიო! — უთხრა მომხსენებელმა.

— ის ხომ პარტიულია? — იკითხა მეორემ.

— არ შეიძლება, ამხანაგებო, იყოს ასეთი ვინმე პარტიაში! — სიტყვა მოსულმა და გამოკითხა აღმასახანს ვინაობა.

— თქვენ პარტიული ხართ? — შეეკითხა ის აღმასახანს.

— კი ბატონო!

— რამდენი წელია?

— დიდი ხანია, ბატონო; ჯერ კიდევ ფოთში ვმუშაობდი. მაშინ რომ შევედი პარტიაში და მომცეს ქალაქი, მას შემდეგ სულ პარტიაში ვარ.

— აბა მიჩვენე მანდატი!

აღმასახანმა ძველ ქალაქდებს შორის ვიბიდან ამოღო ძველი ქალაქი და მას გადასცა.

ამის წარმომადგენი აღმასახან დიანოსის ძე ყვინთაძე ნამდვილად მუშაობს ფოთის ხავთ-სადგურის მტვირთავ არტელში მესამე პარტიაში — ეწერა ქალაქდში.

— ეს არის შენი მანდატი? — შეეკითხა მასული.

— დიან, ეს არის! — უპასუხა აღმასახანმა. გლეხობამ დაადგინა — აღმასახანს გაძევება მოელოდა კოლექტივიდან და მისთვის ქონების ჩამორთმევა.



**ორშაბათს**, სამუშაოდან რომ დაებრუნდი, სადილი მაგიდაზე დამხვდა და თან პაწია წერილიც, სადაც განმარტებული იყო, რომ ფეფიკო (ცოლის სახელი ვახლავთ) კოოპკომისიის სხდომაზე წასული.

რაღას ვიზამდი, დავეჯექი და ვისადილე მარტომ. **სამშაბათს**, როცა გავიღვიძე და ჩაი მოვიკითხე, ხელში პირდაღებული სამოვარი შემეჩეხა. სამოვრის თავზე იდო პაწია ბარათი, სადაც ეწერა: „ამ დღით თავდასხმა კოოპერატივებზე და მეც თავდასხმელებში ურევივარ“: იძულებული გავხდი ჩემი საკუთარი ხელით ამედუღებინა სამოვარი, რის გამო სამსახურში დავაგვიანე და გაფრთხილებაც მივიღე საქმეთა მმართველისაგან, რომელიც კარგი ხანია აბრეზილია ჩემზე.

**ოთხშაბათს** სადილათ ორიოდე ამხანაგი მოვიპატიჟე, რადგანაც ბაზარში კულაკისგან ჩამოტანილი ინდაური ვიყიდე (დაე მეპატიოს მე ეს გადახრა).

მივედი სახლში, რომელიც... დაკეტილი დაგვიხვდა. გამოირკვა, ჩემი დიასახლისი ფეფიკო საწარმოო თათბირზე წასულიყო დილიდანვე და გასაღების დატოვება დავიწყებოდა.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ მე, სტუმრებთან ერთად გამოვარკვეე, რომ ინდაურის ჩასაცევივისათვის სამსახურელოში არავითარი მუშაობა არ იყო ნაჭრობები და მამსადადამე, ინდაურის ჭამის საკითხი თავისთავად იხსნებოდა.

სტუმრები წავიდნენ, ხოლო მე მეზობლისას ვისადილე პროტექციით (ჩემი ნათლიმამა ვახლავთ).

**ხუთშაბათს** გაკეთდა ის ინდაური, რომელზედაც ზევით მოგახსენებდით.

**პარასკევს** ფეფიკო პროფაქტივის სახალხო კრებაზე წავიდა და ისე დადლილი დაბრუნდა, რომ სადილის გამოტანა და მასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები მე ვიკისრე.

**შაბათი** სწორედ ის დღეა, როცა ფეფიკო დილიდან საღამომდე საბინაო საკითხებს აწესრიგებს ჩვენს საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობის გამეგობაში, როგორც გამეგობის წევრი.

**კვირას** მე სულ მარტო ვიყავი, რადგანაც ფეფიკო საშეფო უჯრედის აქტიური მუშაკია და უჯრედის წევრ ქალებთან და კაცებთან ერთად საშეფო სოფელში წავიდა.

**ორშაბათს...** მაგრამ ღირს ისევ თავიდან დაწყება? სულერთია, ახალს ვერაფერს გეტყვით...

ასე დამიღუპა ცოლის საზოგადოებრივმა მუშაობამ. ყველაფერს გაუძღვებდი, მაგრამ სადილათ ცივი საქმეების და ხან უსაქმელობის მონელებას ვერ გაუძეო.

თუ წინად მე ვებრძოდი ცოლს, რომელიც მომხრეა ჩვენს საბინაო ამხანაგობაში მოეწყოს კომუნა, საერთო სასადილოთი, სამზარეულოთი, სამრეცხველოთი და სხვ., ახლა მე თითონ მოვიტხოვ და ისიც საქმეყნოთ: — დაგვიარსეთ სახლი კოლექტივები და სახლი — კომუნები, მოვაწყოთ კოლექტიური ცხოვრება, თორემ სულ ერთია, ეს ქალები ისე არიან ჩამბული სახელმწიფო-საზოგადოებრივ მუშაობაში, რომ სადილისთვის, სარეცხისთვის და სხვა ამისთანაებისთვის აღარ სცალიათ“!

ასე მიამბო ჩემმა მეგობარმა, თვით „პროფაქტივმა“ ბარნაბმა.

დაუჯეროთ ამ კაცს, დავაარსოთ სახლი — კომუნა — არტელ-კოლექტივები! რამდენადაც ვამიგია, ეს ხელს შეუწყობს ქალთა ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესებას და მამაკაცებსაც ცხელ სადილებს მიაწვდის ჭრეელდღიურათ!

ტერისტი.

**ყველას... ყველას... ყველას...**

**შემოსავლის ერთი წყარო — ძველმანი არ გადაყარო!**

# ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კოოპერატივთან არსებული საუტილიზაციო ნედლეულთა გაერთიანებული განყოფილება

ტფილისი მუზეუმის ქ. № 2.

## „ზ ა კ უ ტ ი ლ“

ტელ. — 4 — 50

მილიონი მანეთები იკარგება ეხლა სასოფლო-მეურნეობაში. ვერ ვხედავთ, რომ ტყუილ-უბრალოთ იკარგება სიმდიდრე: ჩვრები, ძვალი, ძველი კალოშები, ტყავეულობა, ნაბღები, ჩუსტები, თოკი, ლითონის ნაჭრები, ლურსმნები, რკინის კოლოფები, ქაღალდი და სხვა ძველმანი. გონიერი გლეხი, რომელიც გაფრთხილებით შეკრფეს ყველა ამას და გადასცემს შემკრებ პუნქტებს, ან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის თანამშრომელს, მიიღებს შემოსავალს და საბჭოთა მეურნეობას კი მილიონ მანეთებს მისცემს.

საჭირო ახსნა-განმარტებანი ძველმანების შეკრების და გაყიდვის შესახებ მოსთხოვთ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკებს.

ახლობელ დამამზადებელი პუნქტის მისამართი: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობა.

ყველა გლეხის ოჯახმა თითო ჩვარიც რომ მოგვაწოდოს, დაგროვდება სხვადასხვა მოთხოვნილების საგნების დასამზადებლად საჭირო ნედლეულობის მთელი ვაგონები.

საზღვარ-გარეთ ჩვენს ძველმანებში იძლევიან ოქროს, რითაც საბჭოთა სახელმწიფო იძენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტრაქტორებს და მანქანებს.

თუ ძველმანებს არ მოვაგროვებთ, ჩვენ დავკარგავთ დიდ თანხებს.

გახსოვდეთ, ისიც, რომ ძველმანების გადარჩევაში და გადამუშავებაში რამდენიმე ათი ათასი მუშა და გლეხი შოულობს საარსებო საშუალებებს.


გავაძლიეროთ შეკრევა, ამით ჩვენ შევსძლებთ მიცემთ — სამუშაო ღარიბ უმუშევარ მოსახლეობის დიდ რაოდენობას. ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს — ნედლეულობა, შევამცირებთ საზღვარ-გარეთიდან ნედლეულობის შემოსავლას და მოვიმარაგებთ ოქროს.

**სოფლის საბჭოს და კოოპერატივის ადგილკოოპს და გლეხკოოპს, შაქტებს ევალებათ — ყველას უთხრან, რომ ძველმანებს ნუჭრინ ავლებს.**

სოფელმა დააპირა ეყიდა მას ტრაქტორი, მაგრამ ვეზებში ფული არ ჰქონდა გროში ორი. რა ექნათ არ იცოდნენ; დაგლოვდა ყველას გული. რა ექნა არ იცოდა — როგორ ეშოვა ფული...



მაგრამ, შა, მოაგონდათ... დაიძრა მთელი კრება, ყვრილამ დაუწყო ძვილმანს გროვიდა და შეკრევა.



წაიღეს და გაჰყიდეს (გზა ხომ არ იყო შორი!) იყიდეს მათ ტრაქტორი, ერთი კი არა — ორი.

**მუშებს, გლეხებს და გლეხ-ქალებს სახელმწიფო დღეს ავალებს — ძველმანები რომ შეკრიბოს და მიიყიდოს სახელმწიფოს.**

**ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებსა და დაბებში „ზ ა კ უ ტ ი ლ“ აქვს თავისი პუნქტები, სადაც მიიღება პროვალგარის ძველმანი**

ქარხანაში, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, გატარდა ერთპიროვნული მმართველობა.

— აბა ახლა მე მკითხეთ, თუ დღემდე შრომის ნაყოფიერება ვერ გადიდა, ეს იყო ისეთი ობიექტიური პირობების შედეგი, როგორც არის ერთპიროვნული მმართველობის გაუტარებლობა. ვისთვის დამეჯერებია არ ვიცოდი... აწი მე მიყურეთ...

ერთპიროვნული მმართველობის დამყარებიდან გავიდა სამი თვე — ქარხანაში შრომის ნაყოფიერება ცოტათი შემცირდა და წუნიც... გამრავლდა.

— რა ვქნა, ჩემი ბრალი ხომ არ არის! აქ უმთავრესი მიზეზი ობიექტიურ მიზეზებში უნდა ვეძიოთ, — ბოდიშით ამბობდა ერთპიროვნული მმართველი დირექტორი. — ეს ობიექტიური მიზეზები არ ყოფილიყო, მე ვიცი რასაც ვიზამდი, მაგრამ რა გინდა უქნა ობიექტიურ მიზეზს?.. დირექტორმა მიიღო გაფრთხილება.

**ერთი თვის შემდეგ, რევიზიაზე:**

— რატომ შემცირდა შრომის ნაყოფიერება თქვენს ქარხანაში?

— მე რა ვიცი, ამბობს დირექტორი, მე მგონია, რომ აქ მიზეზი ობიექტიური უნდა იყოს.

— თქვენ რაღას იტყვით? — ეკითხებიან კომუჯრედის მდივანს.

— მეც ვფიქრობ, რომ უმთავრესი მიზეზი აქ ობიექტიური მიზეზია ამბობს მდივანი.

— აბა თქვენი აზრი? — მოუბრუნდნენ ქარხანის.

— წმინდა ობიექტიური მიუდგომლობით თუ ვაწვევით, მეც მაგ აარის ვარ!

— წუნი რაღამ გაამრავლა?

— მაგის მიზეზი, ჩემის ღრმა რწმენით, ობიექტიური მიზეზი უნდა იყოს, სხვა მიზეზი მე ვერ მომიხანავს...

— ეს თვითღირებულება რაღამ გაადიდა?

— აი, ეს კი ნამდვილათ ობიექტიური მიზეზის ბრალია, — დაბეჯითებით ამბობს დირექტორი.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, — უმატებს მდივანი.

— ასპროცენტინი სიმართლეა, — ამტკიცებს ქარხანის.

ერთი კვირის შემდეგ, დირექტორი, მდივანი და ქარხანის თავმჯდომარე უკვე შრომის ბირჟის წინ შეხვდნენ ერთი მეორეს.

— დავითხოვეს ამხანაგო დირექტორო?

— მომხსნეს კი.

— რა მიზეზით?

— მიზეზი არ ვიცი... შენ გადაგიჩიეს?

— რას ვამიშვებდენ! გადამიჩიეს...

— შენც?

— მე ვისი წითელი კოჭი ვარ, ახალი ქარხანაში აირჩიეს.

— რა მიზეზით დავითხოვეს? ეკითხება მათ შრომის ბირჟის სექციის გამგე.

— რა მოგახსენოთ, მე მგონია, აქ უკვე მიზეზი სუბიექტიურია, რადგანაც მუშგლეხინის წარმომადგენელს ჩემი მუშაობა არ მოეწონა, — მოწყენით ამბობს დირექტორი (ყოფილი).

— აი, ეს მართალია, ჩვენი მიზეზიც ეგ არის, ეგ სუბიექტიური, მაგას გაუხმეს სიყმე... ესმის დირექტორს, რომელიც ობიექტიურად მიჰყუდებია ბირჟის კარებს.

აქლარ-აღლარსან.



# წიგნების ნოტი

## პაროდები

სიციან ტაბიძე

როალდ ამუნდსენი

არც კი მახსოვს, ვიყავი,  
როცა ორპირს რიონზე,  
გემი გამოერია  
მოფრენილი ალიონზე.  
უსმენდი დედის ძახილს  
მკლავდა თეთრი ტირილმა,  
ხარებს უბამდი მარხილს  
და ვლადილად ირემად.

— : —

როალდ ამუნდსენ, პარაკევია,  
მარტო დარჩენა არ შემძლია,  
მუხლით თოვლი არ მიმკვლევი,  
არც შენზე აზრი გამომიცვლია.  
მთვრალი ხომალდი არტურ რემბოსი  
ციხფერი ყანწი ჩემი პაოლოს,  
ლექსებს დაუსვა მე დიაგნოზი  
შენმა სახელმა რომ დამავალოს.

კი.დალა.

— : —

ს. ზანუიაზვილი

პოემა ქალზე

რომელიც წველიდა ფშავურ ძრო-  
ხს \*

შენ არ ჰგევხარ ძველ ქალებს,  
თმა რომ აქვთ ვით ჯეჯილი.  
შენ ახალი ქალი ხარ,  
დახვალ თმა შეკრებილი.  
ჩემი „ყამირს“ გეფიცები,  
ასე სჯობია განა;  
შენ აღარ გაგამწარებს  
წაბლისფერ თმის დაბანა.  
ვაშა ამ ქალს, ვაშა,  
გავიძახოდით ყველა.  
ჩინებულად გცოდნია  
ფშავურ ძროხის მოწველა.  
თან ხელებიც რბილი გაქვს,  
ვით კარაქი და ყველი,  
შენგვარ ქალებს ვადიდებთ  
მე და შოთა რუსთველი.

ბაიოქ შირიმელი

— : —

სიმონ ჩიქოვანი

მზაზვარის სიმღერა

მომღამებებისარ, მომგონებისარ,  
ღერწმებში წოლა, ლექსის რხეული,  
რითმებიც თითქოს მომგონებია  
გზა იყო ქარში ბედით წყვეული.  
დარდი ფეხებზე დამკიდებია,  
ვერ დავიძინებ ლექსზე ამაღამ,  
ერთობ მაღალი კიბეებია  
უნდა გადავხტე მთების გადაღმა,  
მეორე ტომი ლექსთა კრებული  
ამბათ თქმულია ჩემგან ნამდვილი,  
თუმც გულზე ხელი დამიკრეფია  
ღერწმის ჯოხი ვარ დანით გათლილი.  
რას მოვიგონებ აწი ჭკვიანურს,  
ან მოგონებებს რა თავში ვისლი,  
ლექსის წერაზე უკრავ ჭკვიანურს,  
მაგრამ რითმებმა გამიშრო სისხლი.

ჩენი.

## პეიზაჟს პოეტ ვლას გელაძის გაზაზსებ

თავის - თავთან

ლაღე, ლაღე,  
ბევრი ვივალდე.  
გამოცურე შავი ზღვა  
და იმედი დაიმსხვრა.  
გეფიცები ნოეს წვერს, —  
ეს კალამი ვეღარ სწერს...  
ცამ, ცამ, ცა!  
ცოტა დამცა.

როგორ თუ დაგიბერდი,  
თხამ შეჭამა იმედი...

დილი-დილო, დელო,  
კობტა საქართველო.

ვეღარ გეტყვი კლიმანტურს,  
სიზმრად ვეზღავ ხაჭაპურს:  
რადგან მახრობს ცოდვები,  
მეყო ლექსით ბოდვები...  
პოპლა, პერი,  
თავში ფრინავს მწყერი;  
დიდო ნოე ბატონო,

გმართებს რომ გვიპატრონ-  
ჯიბის ფული არ არი,  
მიბოძე ჰონორარი...

ტაში და დელია,  
საქმე შემომელია.  
მეც ფეხის ხმას ავყევი  
და ლექსებს გადავყევი...

ჰერი და ბიჭებო,  
ჩემთან ყველა გიჟებო.  
ნეტავ კიდევ მაჭამა  
სამტრედიის ტარანა; —  
ნუ წამიწყდება მამა,  
დარღმა გადამიტანა...

რაშო, რეზა,  
ფიქრმა დამაბერა  
ჰერი და პოპლა  
ჩიკ, ჩიკ, ჩიკ,  
ბედმა დამაობლა  
სკუბ და რიკ.

კრაზანა.

## ქორონიკა

— კიდევ წერთ ლექსებს?  
— როგორ არა, ეხლახან დავასრუ-  
ლე 400 გვერდიანი პოემა.  
— რისთვის არ იბეჭდებით?  
— ეხ, ბეჭდვას რა ჭკუა აქვს,  
ვწერ ლექსებს და პოემებს და ვკით-  
ხულობთ მე და ჩემი ცოლი, როცა  
უსაქმოდ ვრჩებით.

— ძალიან კარგი იყო თქვენი ლექ-  
სი, თუმცა გავლენა...

— გავლენაზე ნუ იქნება ლაპარა-  
კი, თორემ უნდა მოგახსენოთ, მე,  
რომ რუსთაველზე ადრე დამეწყო  
ლექსების წერა, ვეფხის ტყაოსანზე  
ჩემი გავლენა უეჭველი იქნებოდა.

— რისთვის არ გამოვიდა შენი  
მოთხრობების კრებული აქნობამდე?  
— სახელგამის ვალი მმართებს და  
ქეც რომ დაიბეჭდოს, შარშანწინდელ  
ავანსში გამოიბრძან.

— „ქართულ მწერლობაში“ ერთი  
პოემა მივიტანე და ჯერაც არ დაბე-  
ჭდილა.

— მიზეზი?  
— ახალგაზრდა ხარო, ივარჯიშე,  
და მომავალში დაგიბეჭდავთ.  
— შე მამაცხონებულო ახალგაზრ-  
დობაში ვერაფერი გაგიკეთებია,  
და სიბერეში აბა რალას გააკეთებ!

## ოზურბეთი

აპარატების დაიწყო წმენდა;  
დღეს მასზედ ფიქრობს კაცი თუ ქალი.  
ბევრს შიშისაგან დაცა ელდა,  
ბევრა აუფარდა გულის ფანცქალი.  
მაგრამ საშიში არაფერია...  
თუ ვინმეს გასწმენდს კომისიები,  
ისევე აღიდგენს ის თავის ადგილს,  
(კიდევ არიან მცველი ძიები).  
გაიძახიან: აქ ჩვენს ებოში  
ბლომათ არისო გასაწმენდავი  
აქ დაგროვილან ბევრი ჩარჩები,  
გაჭრები მღვდლები და სხვა ნაგავი.  
პროტექციასაც ადგილი აქვსო,  
ასე ამბობენ მანვე ენები.

(მცირე ზაპისკით შექარი მოგვცენ,  
ეს ხომ არ არის მოსახნენები).  
ვინც რომ გადარჩა უწინდელ წმენდას,  
მანც ამოკრეს ბოლოს პანდური,  
იმათ მუდარას და იმათ ხვეწნას  
ჯერ კი არავინ ათხოვა ყური.  
ტრესტ-აპარატში გასაწმენდავი  
არავინ არის, რიგზეა ყველა...  
დაბალ მუშებზე შესტკივთ თავი—  
(ისევე მიეცათ ზოგიერთს შველა).  
თუ მათში ვინმე საქმით ზარმაცობს,  
სამაგიეროდ ენა აქვს გრძელი,  
(ენა მუდამ უშას დიდ როლს თამაშობს—  
მისთვის მათ არის სულ სავარძელი).  
ბელასინი

\* პოემის შინაარსი აღებულია სინამდვი-  
ლიდან ძროხის წველის დაესწრენ პოეტები  
ტ. ტაბიძე და გ. ლეონიძე.



# ეგზამენიაში ჩავიჭერით

მე, სამანთ ტიგო და ჩვენი ალოღლეტია სერო, მახლას—დავრჩენილვართ ქუჩის ანბარა. ამ თარიღში ჩვენი საქმე შეშუფანჯულედ ვერ დავაყენებთ. საითაც ვავიქცივით, წინ ერკობის ვიასკა და ფინისნაპეტორის პოვესტა დაგხვდა. ნიკოლოზის მთავრობაც და მენშევიკებიც ადვილად მოვიინდეთ; შიგლოთი-ფოთი ბიჭები ბევრი გვაგულეობდა, მაგრამ ბაღმევიკებმა კი წირვა გამოგვიყვანეს. გასაქანი აღარ გვაქვს. თორღე შაურჩი დავგრჩენია და ისიც ლოთობაში იფლანგება. დეკრეტებზე ხელს არავინ მოგვაწერებებს და მამ სხვა რა საქმე გავაკეთოთ. დარღვისაგან ჩვენც ლოთობის „ნებართვაც“ გამოვცახადეთ—ვსვამთ და ვსვამთ ოხრათ.

ერთ პასხელა დილას გაზეთში ვკითხულობთ, რომ გოსკინპროში არტისტებს იყვანსო, არ ვავიგუდით და არ წავედით? ვაჰ, თუ კი რომ ერთ დროს თავადებს და ყოფილი დეზულობდნენ, ჩვენ იმაზე ნაკლებია რითა ვართ,—ჩვენც ბიჭები, ისინიც—ბიჭები.

გოსკინპრომის კომენდატები ფაბრიკაში უპრობუსკოთ კომისრებსაც კი არ უშვებენ. ჩვენ კი არხინად ვავარეთ. თურმე ნუ იტყვი, დოშლუღურ ახალბაში და განიერ შარვლებში დარაჯებს ჩვენ წიაურების ვადაცმული არტისტები ვეგონეთ. გავვიცინებს, ჩვენც გაუცინეთ. აი სულ ეს იყო ჩვენი პრობუსკო.

დერეფანზე ხუთასამდე ქალი და კაცი ელოდებოდა ოჩერედს. რეჟისორმა შაქრომ უოჩრედლით მოგვიწყო საქმე. ჩქარა ჩააბარეთ გამოცდები, რომ თქვენნაირი ტიპაჟი ხაჩაპროდ მიკრებოდა. აი გიდი უამანაკ! შაქრომ რეჟისორი იყო და ჩვენ კი, ბიჭები ვტორი გილდი კუპცები, ტიპაჟი ვავხადდეს. მახლას, ჩვენი სიცოცხლე ფუნქიკულიორის ვაგონებია რადა—ერთი ადის, მეორე ჩამოდის, ორივე ერთად ვერცდროს ვერ ავლენ.

— ეგზამენიაში რომ არ შავიდი, გულმა ისეთი დაგა-დუგი დამიწყო, როგორც ცხონებულ ჩამოდებულ სიონის ზარმა. სახუმრო საქმეა! ვდგე ვარ კონცომოლისტების წინ

და გემწანისტივით ვაბარებ. ვაი, მოკვდი თავო!

— შენ მუშა ხარ თუ გლეხი?—მეკოთხება ერთი ფერმკრთალი ახალგაზრდა.

— როცა სოფელში ვარ, მაშინ გლეხი ვარ და ენოა კი ბენაბობნათ დავჩრი.

— ქართველი ხარ თუ სომეხი?—კიდევ მეკითხება.

ეს შეკითხვა ჩერეზჩურ პადაზრბტელნათ მეჩვენა და ძალიან გავცხარდი.

— ამხანაგო, ჩვენ 30 წელიწადი ვიბრძოდით ინტერნაციონალისთვის და შენ კიდევ ნაციებზე მელაპარაკები. ვენაცვალე ქართველსაც და სომეხსაც, თუ რომ პატიოსნება და ჩვენი მთავრობის სიყვარული ექნებათქო.

— ჩემი პასუხი კომისიას მოეწონა და ყველაში სიცილი გამოიწვია.

— ვინ იყო ენგელსი, ანუ რას აკეთებდა?—შემეკითხა ერთი აჩქებანი კაცი.

— ენგელსი მსახურობდა გოსკინპროში ოპერატორათ, ძალიან ლოთი ბიჭი იყო და ჩემთან პადვალში მალ-მალე ჩამოდიოდა.

— ეს სიტყვები რომ დავამთავრე, სუყველანი ფეხზე წამოდგნენ ადელეგბულნი.

— ნესჩასტნი დუხანშიკი, ჩუჟდი ელემენტო!—და მკრეს კინერში მუშტი...

ერთი სიტყვით მე მიცვენეს და აქაც ბითური გამოვიდა რადა.

არც ჩემს ამხანაგებს დასდგომიათ კარგი დღე. თურმე სამანთ ტიგოს რომ შეეკითხეს—კულაკი რა არისო, იმას მუშტი აეშვირნა ზევით და ეთქვა:

— ვენაცვალე კულაკსო, ეს კულაკი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მტერი დავიბარბიყვებოდაო.

— სერგოაც პოლიტგრაგამოტაში ჩაჭრილიყო. ეკითხნათ პარტიაზე. პარტია—ნარდის თამაზიო. გუშინ ყურალოფმა კარაქტამ ექვნი პარტია წააგო, რადგანაც სულ ერთთავად დუბიტრეკი მოსდიოდაო. სარევენოვანიას საკოთხში კი თავ-ფეხიანათ ჩაფლულყო. სარევენოვანეო ის არის, როცა შენ ცოლს სხვა ეარსიყება და შენ კი ჯავრისაგან ჯივარი გეხუჟებაო.

პადლეები დავიკეტეს, სმხასურში არ გვიღებენ, გოსკინპროში შესასვლელად ნაწვავლი მუშა ანუ გლეხი უნდა იყო. მაშ რა გავაკეთოთ? ხელში ჩონგურისა და კვარტიანის მტეი არაფერი გვჭერია და ახლა კი წერაჭე და ლოთით ხელეები უნდა დავიბროთ?

— ეთიმ გურჯიმ ტყვილათ კი არა სთქვა, ჩომელ მგოსანს ვთხოვთ სამართალია, ვს მივმართო—რუსთაველი მკვდარია. შუღლიაში.

## „პასიოსანი“ კვარი



— არა გრცხვენია, დღესაც დაი-თვერ?

— დღეს ქალთა დღეა და მეც შენი ხათრისთვის გადავკარარი...

# ახალი თავადები

## სატირა ერთ მოქმედებათ

მოქმედანი:

**შარამან**—ბობოლა გლეხი.

**თებრონე**—მისი მეუღლე.

**ელრი**—მისი ქალი.

**ილო**—საშვალო გლეხი, ელოს საქმრო.

**გაბრო**—ყარამანის მოჯამაგირე—ყოფ აზნაური.

**სემონ**—თემალმასკომის თავმჯდ.

**კულაქები 1, 2, 3.**

**თეარკონის კომისია.**

**მილიციონერი.**

(სცენა წარმოდგენს ყარამანის ოჯახს: ოჯახის კედლები მორთულია სხედასხვა სურათებით. ერთ კედელზე ჰქვია ჩვენი ბელადების სურათები, მეორეზე—ქართველი მეომრის, თავადების და მათ შორის ყარამანის დიდი სურათი).

**შარამანი** (ცეცხლიან ბუნბართან ზის და თუთუნს ეწევა. თებრონე და ელო სუფრას მღობან):—ღენა, გაბოს დამიბიხე. (ელრენ გაბოს ეძახს, შემოდის გაბო)—შენ, ეი, ბიჭო, ცოტა ჭე უნდა გამეიჭეპო, როცა

უფროსი გეძახს. ყოფილი აზნაურიშვილი კა ხარ, მარა, რაი მერო! ესლა თქვენი დრო... ბიჭა, ხომ გეტმის; ესლა ჩვენი დროა—გლეხების და მუშების.

**გაბო** (თავისთვის)—ისმეც რა გითხრა, შენ გლეხი იყო ან მუშა).

**შარამანი**—ჰო-და, თქვენი დრო გაფრინდა... აღარ მოფრინდება, გეტმის! შენ თუ წინათ აზნაურიშვილი იყავი, ესლა მე აზნაურიშვილზე ცოტა მეტი ვარ... თავადი კი არა მეგია, მარა, ისე თავადი ჭე ვარ, ა, რას იტყვი შენ! (სინთითებს).

**გაბო**—აბა, რა უნდა გთხრა, ბატონო ყარამან... თავადიც ხარ და მეტიც... ჩვენი დრო რომ გაფრინდა, კი ვხედავ, მარა ვეგება შენი დროც გაფრინდეს, ჩემო ყარამან...

**შარამანი**—რაო?! რაო?! ჩემი დრო გაფრინდეს?! ესე იგი, მუშების და გლეხების დრო? ჰა?! ეს რა თქვი შე ვირო, შენა! გინდა ჩეტას დაუძახო... გინდა ვიგის აბანოში ამოგაყოფო თავი... (იციანს) შეშინდი ხომ!.. არა, ნუ გეშინია, გესუმრები! რაც

უნდა იყოს, ჩემი ყოფილი თავადის შვილი ხარ, აბა რას გერჩი, მემსახურები, ცულს ხომ არაფერს მიშვები. ახლა ის მითხარი, სიკოს უთხარი თუ არა, რომ ამალამ ჩვენსას მოსულიყო?

**გაბო**—დიას, ვუთხარი, სტუმრები ყავდა, მითხრა, უსათუოდ მოვილო. (გაბო მიღის. ყარამანთან მიიბრუნს ელო და ეხვევა).

**ილო**—(ყარამანს):—პაპა, პაპპოჩკა, გენაცვალე, შენ რომ დამპირდი?... დღეს ჩემი დღეობაა (ეხვევა). პაპა, ხომ მიყიდი, პაპოჩკა, რა კვი პაპა შეყავს (დედისკენ) მამი, მამოჩკა, პაპა დაპირებებს მისრულებს. სად უნდა დავდგათ მერი.

**თებრონე**—რა სად უნდა დავდგათ, ქებლო?

**ილო**—რაი და პიანინო რომ უნდა ვიყილო; აკი პაპა დამპირდა, ჩვენს სოფელში ჩვენს მერს არავის ექნება პიანინო.

**თებრონე**—მამაშენმა მშითვით დავპირდა, შიფლო; როცა ვთხოვდები მაშინ გიყიდიო...



**ელლო:**—არა, მამოჩქა, გათხოვებამდის უნდა მივიდოთ, გესმის? ილო, სანამ დიდ ოლას არ დაიდგამს, მე ვარ მივთხოვდები, ჰიანთო კი მამამდის უნდა მივიდოთ.

**შარამან** (ელოს):—ერთი ეს მიბრძანე შენ, ჰალიშვილო, მე ხომ ჩემს დაბრუნებას შევასრულებ, მარა შენ ის უნდა მიიხრა, მე ვინა ვარ შენი, მამა, ბებია თუ ბაბუა. თუ დედა შენი მამა შენია, მაშინ მე დედაშენი გყოფილვარ, ან თუ შენი ბაბუა ვარ, დედაშენი ბებია ყოფილა, რაგვა მამა საქმე, ვერაფერი გავიგე...

**ელლო:**—პაპა, რას ამბობ, როგორ თუ ვინა ხარ, შენ ხომ დიდილი მამა ხარ ჩემი რა ბაბუა არაფერი მესმის! (თებრონი იცინის).

**შარამან:**—როგორ თუ არაფერი გესმის, რა შენი პაპა ვარ მე. პაპა ხომ ბაბუა არის, მამის მამა... (ელო და თებრონი იცინიან).

**თებრონი** (სიცილით):—შენ კი კაცო, რაგვა გამოყრუვდი არა გრცხენია, დიდ კაცობის რომ არაფერი გესმის? გაიგე, კაცო, ქვეყნის რამე: დიდ კაცებში მამა დედას ქვია, პაპა კი მამას.

**ელლო:**—ჰო, პაპოჩქა, ასე, მამა დიდ კაცებში ასე იცინა.

**შარამან:**—ჰმ, დიდკაცებში... ჩვენც ხომ დიდკაცები ვართ...

**თებრონი:**—ელო, გენაცვალე, წავიდეთ, ტანზე ჩაიცვი, მოვიკაზმოთ, ხომ იცი სტუმრები მოვლენ. (ელო გადის).

**შარამან** (თებრონეს):—შენ, ჩემო შვის უნახავო, ერთი აქ მომიახლოვდი.

**თებრონი:**—რა გინდა, კაცო?

**შარამან:**—მოდი რაღა, (თებრონი ყარაზის მიუახლოვდება) ერთი ის მიიხარო, რას ამბობენ ჩემზე მეზობლები, გამდიდრდაო, არა? (იცინის).

**თებრონი:**—(გვერდით მიუჯდება ყარაზის) აბა რა ვიცი, ერთხელ ყური მოვკაჩრე, ლაპარაკობდნენ: მან ახალი მთავრობა მაგენიზა ყოფილია... ჩვენი ალარ გვაჯარულობენ... დიდი კაცები გახდნენ. წინა დღეული თავადები ჯობდა მათათ...

**შარამან** (სიცილით):—ოჰო, ოჰო, მამ, არა მოწონებთ თავყანს ესტე მათ, რა გონიათ. წინანდელი თავადები სჯობდაო... მამ, ჩვენ ეხლანდელი თავადები გყოფილენ ერთ არა? შენ კი თებრონი თავადის ცოლი ხარ! თავი მაღლა ასწი, ხომ იცი, უნდა შეიფერო, მამა. გვარი კი არ მივიარა მარა, არა უშვეს. გლახაშვილი აბა რა გვარი, გურიელი რომ ვიყო, ან ერისთავი ჰო, მესმის (იცინის), რატომ თავადი არ ვარ?.. ოღა თავად წერეთლიდან შევიძინე, ეს მოწყობილობაც მისი იყო, ქონებაც მათი მე დამარჩა. ეს კია, რომ თავადის ქალი არა მყავს ცოლათ, მარა არა უშავს. (წინეხურება).

**თებრონი:**—ეჰ, დამიდგეს თვალი, ვინ მეუბნება მამას. ჩემი გვარი შენ გვარს მაინც სჯობია.

**შარამან** (მოფერებით):—კაი, ერთი შენ, ჩემო თებრონი, გული ნუ მოგდის. ეხლა მე ქიაზი ვარ. შენ კი ქიაზის ცოლი. მორჩა და გათავდა. (თებრონი გადის მეორე ოთახში), ყარამანი დადის და წელში იგრიხება). აი, ბიჭო, ერთი ახალგაზრდა ვიყო... რა დრო მომეწერო. კაი კი ყოფილა ეს საბჭოთა წყობილება. აბა, რა ეგონათ მან თავად-აზნაურებს, ყოველთვის ისინი იბატონებდნენ თუ? ეხლა ჩვენც უნდა ვიბატონოთ, გლეხებმა... თუმცა ყველა გლეხები ვერ ბატონობენ, მარა არა უშავს, ყველა თითი ხომ ერთი ზომის არაა, ერთი ბატარაა, მეორე მოგროძო, ერთი წვრილია, მეორე მსხვილი, ისეა, რაღა ჩვენი საქმე, გლეხებშიაც არიან მკვიანები და არა მკვიანები, უღირსი და ღირსეული... ჩვენ კულაკები შეძლებული გლეხები ვართ, ანუ ისეთები, წინანდელი

თავადები რომ იყვნენ... შემდეგ არიან საშუალო შეძლების გლეხები, ანუ მაშინდელი აზნაური შეძლების და შემდეგ არიან ღარიბები, ესე იგი გლეხები, ჩვენ რომ წინათ ვიყავით ისეთი. (შემოდის გაბო).

**გაბო** (ყარამანს):—სტუმრები მოვიდენ (შემოდის სამი კულაკი ცოლებით).

**შარამან** (სტუმრებს შეხვდება)—მობრძანდით, მობრძანდით, გაუმარჯოს კულაკებს.

**ხმაზი:**—გაუმარჯოს, გაუმარჯოს (იცინიან. ჭალები შედიან მეორე ოთახში).

**შარამან:**—ყველაფერი კაი, მარა აი სიტყვა კულაკი მაინც არ მომწონს... ნუ თუ მთავრობამ სხვა სახელი გელარ გამოიხანა ჩვენითვის?.. კულაკი თურმე მუშტს ქვია... ჩვენ მუშტი გყოფილვართ... რაღაც ეს სიტყვა ყურს არ მოსწონს.

**1 კულაკი:**—რატომ, რა უშავს, მუშტი კი სახელია... მარა მე რომ მუშტი დამარქვენს, ეს კი მართალი უნდა გითხრათ არ შემიფერებია... აბა ჩემი მუშტი რა მუშტია... ჩემმა მუშტმა ვინ უნდა შეაწიოს?

**2 კულაკი:**—მთავრობამ ჩემო ძამია კარგათ იცის თავის საქმე; შენ კულაკი ინიტომ გაქვია, რომ სიმდიდრე გაქვს, როცა ჩამოგართმევენ, მაშინ არც მუშტი იქნები და არც ბუშტი...

**შარამან:**—რაღაცას თურმე მაი ღარიბებში კიდევ აპირებენო, არ გაგიგონიათ?

**3 კულაკი:**—როგორ არა, რაღაც ეყოლეტივი რომა იმას აკეთებენ თურმე... ამბობენ მთავრობა ეხმარებაო...

**შარამან:**—ერთხელ ქე ჩაფუშეთ და ეხლა ჩაფუშავით...

**1 კულაკი:**—ამბობენ, ჩვენი სოფლის ყოფილი თავმჯდომარის სიკვდილს გამოძიება დასრულდა.

**2 კულაკი:**—დასრულდა, თუ არა მკვლელებს არ მიაგნონ.

**შარამან:**—კაი თავმჯდომარე კი ავირჩიეთ აი, ჩვენი სიკეთე... თრობის მეტს არაფერს აკეთებს (იცინიან).

**გაბო** (კარებთან ყურს უგდებს):—ონ, თქვენ... რა დრო მოგესწოთ...

**შარამან** (შემოდის ილო):—ილოც მოვიდა. სიძე, თვალის სინათლე. (მიართმევს სკამს) გაიცანით კულაკებო, ეს საშუალოა, ჩემი სასიძო... სანამ კულაკი არ გახდება, ჭალს არ ვაძლევ (იცინიან).

**ილო:**—თქვენი წყალობით, ბატონო ყარამან, იმედია ჩქარა კულაკი გავხდები (იცინის).

**შარამან:**—ჰმ, ჩემი წყალობით... ჭალს ვაძლევ, მზეთუნახავ ჭალს, მეტი რა გინდა ყაზახო?! ცოტა მზითვსაც მოგცემ... დანარჩენი შენ იცი... ოქროებში ხომ არ ჩაგსვამ...  
**ილო:**—ჰო, ჩემთვის ესეც საყოფია... ცოტა მზითები და ცოტა ფულცი... დაახლოვებით ოთხი-ხუთი ათასი მანეთი, მეტს არ მოგთხოვ (იცინიან). შემოდინა: თებრონი, ელო და კულაკების ცოლები).

**თებრონი** (ყარამანს):—ყარამან, კაცო, ამ სტუმრებს ნუ მოვკლავთ შიმშილით. ვახანამი მზათა გვაქვს...

**შარამანი** (სტუმრებს): ბატონებო, თავადებო და აზნაურიშვილებო; მობრძანდით, (სველანი მავიდის მოუხსნდება) ალბათ სიკოც მალე მოვა... სხვებს არავის ველი... ბატონებო, ტოლუმბაშობას გვერვს დაუთმობ... მე თვითონ ვაგწევთ. (ყველანი ყარამანის მავიდის მოუხსნდება) აბა, თავადებო და აზნაურებო, გლეხები აქ არავინ გყავს, ჰო, მართლა, ერთთა-ერთი გლეხი ჩვენი ვაზია, მე ვადღეგრძელებ ჩემ ქალიშვილს, ელენას, დღს ბატონებო მისი და-

ბა:ების დღეა, ვუსტროვოთ მას ბრწყინვალე მომავალი (ოლოსკენ) შენ, ეი, აზნაურიშვილო, თუ თავადი არ იქნები, ჭალს არ მოგცემ, გეძმის? (საერთო სიცილი. ყველანი ელს ადღეგრძელებენ. ამ დროს შემოდის მთავარი სიკო).

**სიკო** (შემოდის):—ჩვენს კულაკებს გაუმარჯოს... თქვენ ეი... (ჭულს მოხსნის) ვინავატ ვაში სიატელსტელო... მე ისე რაღა... ცოტა გადავკარ... ცოტა, ჰო, მეგრე რა, კიდევ დავლევ...

**შარამან** (სიკოს ხელს მოკიდებს და ერთი კულაკის ცოლთან დააჯენს):—შენ, ხომ იცი, ჭკუით იყავი, თორემ როგორც აგარი ჩიეთ, ისე გადავარჩიეთ — (სიცილი).

**სიკო:**—რაო, რაო, ბატონო ყარამან... ჰო, შენ მართალი ხარ... გადავირჩიეთ არა... მეგრე ვის აირჩიეთ?.. (გვერდით მჯდომი ქალს უბუქებს. ჭალი შეიკივლებს... ქმარი წამოდება) უკაცრავათ ქალბატონო, შემოთხვევით, ბოდიშს ვიხდით... (ყარამანი სიკოს ხელს მოკიდებს და მეორე კულაკის ცოლის გვერდში დააჯენს).

**შარამან:**—აბა, ბატონებო ავესეთ ქიქე ბე. ეხლა უნდა ვადღეგრძელო ჩვენი მთავრობა.

**ხმაზი:**—რომელი მთავრობა?

**შარამან:**—ჩვენი მთავრობა, არ იცი? კომუნისტების მთავრობა, რომელმაც ჩვენ თავადები გავგზავდა... გესმით?.. (სიკო მეორე კულაკს უბუქებს).

**ქალი:**—სიკო რა დაგემართა! მთავრობის სადღეგრძელო!

**სიკო:**—ადექით ფეხზე (ყველანი ფეხზე აღდგებიან), დაჯექით, (ყველანი ჯდებიან) ბატონებო და აფხანიკებო! დღეს ჩვენ ყარამანის ოჯახში ვართ... ხომ ასეა ბატონებო? ყარამანი, აფხანიკებო, ჩვენი სოფლის სია მაცეა... მთავრობა არ იყოს ჩვენ სოფელში, ჩვენი სოფელი კაპიტათ არ ეღირებოდა ჩვენი მთავრობა ბატონებო, მე ამას ვცაბადებ აფხანიკებო, მთავრობის საფელით, მძლობას გიძღვნი სადღეგრძელოსათვის. (შემოდის გაბო).

**გაბო:**—ვილაცები სიკოს ეძახიან.

**სიკო:**—რაო? მე მეძახიან? რას ამბობს ვინ არიან? აქ მოვიდენ. სად მცალია მე ეხლა (გაბო გადის) ჰო, და, ბატონებო, ჩვენ ყველანი გლეხები ვართ.

**ხმაზი:**—ეხლა კი გლეხები აღარ ვართ.

**სიკო:**—ამიტომ, აფხანიკებო, მე ვსევამ ჩვენი მთავრობის სადღეგრძელოს (შემოდინან მთავრობის კომისიის წევრები).

**კომის. თავმჯდომ.**—უკაცრავათ, თემალ მსკომის თავმჯდომარე გვინდა...

**სიკო:**—თავმჯდომარე გინდათ? თქვენ ეხლა ხართ ამ შუა დამეს რომ მეძებთ? ხეალ მოდიეთ აღმასკომში! ამაღამ არ მცალია...

**კომის. თავმჯდომ.**— ხეალ ჩვენ დრო არ გვაქვს.

**სიკო:**—როგორ თუ დრო არ გვაქვს?!

**ხეალ** მოდიეთ მეტქი!

**კომის. თავმჯდომ.**— თქვენს წინაშე მთავრობის სპეციალური კომისიაა, რომელიც გამოგზავნილია თქვენ სოფელში ჩაღწინო ბოროტების გამო... გიტყვადნებთ, რომ თქვენ ყველანი დატუსაღებული ხართ (შეიკება ჩოჩქოლი. შემოდის მილიციონერი) წაიყვანეთ ყველანი ქალების გარდა.

**სიკო:**—თქვენ არ გაქვთ უფლება თავმჯდომარის დატუსაღების.

**კომ. თავმჯდომ.**—ალბათ გვაქვს. წამობრძანდით. (ყველანი გადიან გარდა ჭლგებისა და გაბოს).

**გაბო** (თავისთვის):—ესეც თქვენ, ხომ გიწინასწარმეტყველებთ, თქვენი დროც გაფრინდება მეტიან.

(დაბლა)



# რეაქცია

# ბასამერჯელი ჩვენში

## „დაუვიწყარი“

ს. ზანა, (სენაკი) გაიცანით ტყებუჩავა; (მის მუცელში ბევრი ჩავა). გლახკომს გაჰკრა მაგრად კბილი; (მას უყვარდა ჭამა ტკბილი). კაცი გაძლა, გაიბერა... არავინ არ დაიჯერა, რომ გლახკომი თალა, გაზრა; (მარჯვნივ ჰქონდა მას გადახრა)... ჰო-და გაძლა, გაიბერა, ჭამით გული გაიჯერა... არხეინად დასეირნობს, რომ ნაჭამი მოინელოს, და გლახკომის მოსაგონად ის ეხლაც სვამს სადღერძელოს.

(მის—ველი).

## ორი უმითხვევა

მორჯომი (სადგური) ისე გადის ეს ზამთარი, არ გამთბარა აქ დარბაზი. ყველა მგზავრებს აცახცახებს და უფროსზე მოსდის ბრაზი. სამი მგზავრი გაიყინა, ისე გაზდა როგორც რკინა.

უფროსს გული შეუწუხდა (ამას არვინ არ ელოდა), ქაბინეტში თურმე დიდი სითბო იყო და ცხელოდა.

(ტარ—კორი).

## „ენერგიული მუშაკი“

ახალხენაკი. გვაქვს სამკითხველო-კლუბი, შიგ არის მუღამ ჩხუბი. გამგე ვრიშა ბედია—კლუბას შავი ბედია. ამბობს: „გემო ცხოვრების არის სმა და ჭამაში; მიგუმატოთ ჩვენ ამას კარტი-ნარდის თამაში, და მივიღებთ სამოთხეს, დამერწმუნეთ ამაში“.

მი—ლი.

## აწეული ცხვირი

დანიერ-ჰპიტირი (ქუთ. ოლქი). ალექსანდრე ბუაძე როდის მოვა ჭკუაზე? ესტუმრება სასადილოს, საქმეს იზამს სასაცილოს. ქეიფობა უყვარს ზორბად, თავი მოაქვს არწივ-ორბად. წელს უმშვენებს რევოლვერი, აგვირია ყველაფერი. ყველაფერზე ბრაზობს, ჰყვირის, მანდატი აქვს კომკავშირის.

(„რიფერენტი“).

## ხარბი—გაუმამლარი

ფრთი (ნავთსადგური). ტარტაროზო, ჩამოდი და მარკოზა აქ არი. ჩარჩს მიჰყიდა ტრესტიდან მიღებული შაქარი. (მუშებს მისცეს შაქარი თითოს ათი კილო). სხვაც ბეჯრია აქ, ძმაო, საშენო და საკბილო.

(ვერანა).

## ღმერთის მოწვევა

სამბრედი. ჩვენს ათწლეულში ყველაფერი აირია-დაირია. ალექსანდრე, მისა, გოგი ასაფეთქი აირია. ქაო-სია ბიბლიური, აშლილია სულ დავთარი; საქმეში თუ მთხლე არიან,—ერთმანეთში კი—აფთარი. გადასწყვიტეს მოიწვიონ ინსტრუქტორი ვინმე ერთი და ასეთი ჯერ-ჯერობით გამონახეს მხოლოდ ღმერთი, რადგან ღმერთმა ქაოსიდან თურმე შექმნა ეს მსოფლიო; ის აქ წესრიგს დაამყარებს, და რად ვღვაროთ ჩვენ ოფლიო.

(ბრაგუნა).


## უხარხული მდგომარეობა

სოფ. გომი (ოზურგ. მაზრა). ტყისმცველი და მფარველი მორცხვი არის სიმონი. ტყის ქურდებს რომ შეხვდება, მთავდება ვით ლიმონი. ბურჭულაძე-მგელაძეებს მისცა მოჭრის სრული ნება; ეს „გმირებიც“ დაფაცურდენ, და მთელი ტყე იხეხება. სიმონ როცა წაწყდება ტყის ბაცაცებს უცბად ტყეში, —ბოდიშს იხდის:— მაპატიეთ, არ გავივლი აქ ჩემს დღეში!

(„ინანო“).



უცხოეთში





# პარტი-პარტი

## გამიჯნულა სიგუა, მან უარი ვერ იგუა.

(ნიორწყალი).

ს. სიგუა დღემთში მასწავლებლობს. იმავე სკოლაშია მასწავლებელი ქალი ე. ბანტაძე. რაღაც ეშმაკი შეუჩნდა სიგუას და მან შეიყვარა ბანტაძის ქალი.

მაგრამ ქალმა უარი უთხრა. — რა ვქნა? რა ხერხი მოვიგონო? ბიორი რომანი მაქვს წაკითხული და საჭიროების დროს არც ერთ მათგანის ხერხი არ გამომადგა! — ასეთ სასოწარკვეთილებაში იყო ჩაგარდნილი მასწავლებელი სიგუა, რომ მას უცბად მოაგონდა „შიში შეიქმნს საყვარულს“

— ერთად - ერთი საშუალება მხოლოდ ეს არის. ხევეწა - მუდარამ არ გასჭრა. აწი მე ვიცი! — სთქვა მან და...

და სკოლაში გაკვეთილზე ე. ბანტაძის ქალს სიმთავე შეასხა სახეზე. დასახინჩრებული ქალი საავადმყოფოში წვიტ.

— აი, ბავშვბო, დაიხსომეთ ეს მაგალითი და გაკვეთილი: როცა ქალი უარს ეუბნება გამიჯნურებულ ვაჟს, პირველს ასეთი ხედვრი მოვლის მეორესაგან. აწ ვინ შეიყვარებს და ვინ შეიერთავს სახე - დამახინჯებულ ქალს? არავინ, სხვა კი არა, აწი პირიქით, აქეთ რომ შემომხეხვეწოს, მეც არ შევიერთავ მას! — ასე ასწავლის

გაკვეთილს მასწავლებელი სიგუა მოწაფეებს, რომლებიც შიშისაგან გაშეშებული უსმენენ მას.

საკვირველია, პარტუმენდის შემდეგ სიგუას როგორ „ჩარჩა“ ჯიბეში პარტილებით!

## არავინ იცის—როდის იგი სკოლაში მოდის.

ტატაშა.

ჭოკნარის (ქუთ. ოლქი) ოთხწლედის მასწავლებელ ქალს იშვიათად ნახაეთ სკოლაში.

როგორც გამოირკვა მასთან გამართულ საუბრიდან, ამისი მიზეზი შემდეგი ყოფილა:

— მოგესხენებათ, — სთქვა მასწავლებელმა ქალმა, — მზიან დარში სეირნობას არაფერი მირჩევენია. მზე ჩემში ათობს და აღვივებს სიყვარულის გრძნობას...

— აედარში რატომ არ დაიხსართ სკოლაში?

— აედარში როგორ უნდა ვიარო?! აედარში — მგლოვიარეთ“ და მოწყენილი ვარ; მელანქოლია ისაბუღრებს ჩემს არსებაში. არაფერის ხლისი არა მაქვს. ვზივარ ბუხართან და ვერთობი კავარლებთან.

— მაშ რანაირ დარში დაიხსართ სკოლაში?

— სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცი. თუ საშუალო დარია, წავალ, — თუ არა და, რა ვქნა! ჩემი რა ბრალია; ასეთი ჩვეულება მაქვს და, თქვენც კარგად იცით, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

## რომ ჭივირბას ნისტორი მგონი არის დღეს სწორი.

(ბრაგუნა)

კაცი სამტრედიის აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს „ღვთის წყალობით“ და დემეტრისთვის კი ერთხელაც მადლობა არ გადაუხდია. ან და, როგორ გადაეხდა, როცა ისეთი თანამდებობა ეჭირა, რომ, პირიქით, ანტი - რელიგიური კამპანია უნდა ეწარმოებინა სოფლად.

მაგრამ, აი, ნესტორს „განში პატივობს რელიგიურ დღესასწაულის დღეს ვაჭარი, მისი ნათესავი.

ნესტორი თავისი მეუღლითურთ, ჯდება აღმასკომის ეტლში და ერთ კვირას ქეიფობს მოყვრისას.

წარმოიდგინეთ თქვენ, როცა დაითრო ნესტორი, დაავიწყდა ღვთის წყალობა, მოაგონდა, რომ მას, როგორც აღმასკომის თავმჯდომარეს, ანტი - რელიგიური კამპანია უნდა ჩაეტარებინა... მოაგონდა და შეუტია ხეცას — იძრო ნაგანის რევილოვერი, და რაც ტყვიები ჰქონდა, სულ გაისროლა ხეცაში, ჰერში. შეიქნა სოფელში განგაში.

ვაიქვენ აღმასკომში თავმჯდომარესთან.

— სსს! დაჩუმდით. ნუ გეშინიათ... თვითონ აღმასკომის თავმჯდომარეა, რომ ქეიფობს და ისერის!

„დამშვიდებულმა“ გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეხეს.

# „ქერქო ინტერესი“

(ბოჯჯოში)

— კერძო ინტერესით გამკიმეს ვაზეთში, კერძო ინტერესით. — ყველა ასე გაიძახის ბოჯჯომის რაიონში, ვისაც კი ვაზეთში გასწერენ.

ასეთივე „კერძო ინტერესით“ მიიდა „გავექიმო“ ქვემოლმოყვანილი პირები „ტარტაროზში“.

პირველად ჩემი სალამი ბოჯჯომის აღმასკომის მდივანს—**გიორგი ჩიგოვიძეს**, რომელსაც არავისი ეშინია, მუხასავით სდგას. ვერაფერი დააკლეს „მუსუბუქმა კავალერისტებმა“, სამსახურში მთვრალი გამოცხადდება, ტრაბახობს, ჩხუბობს, მუშაობის დროს სეირნობს, გვან მოდის, ადრე მიდის... კაცია და გუნებაო... ვის რა საქმე აქვს მასთან!

ან-და კომუნალურ განყოფილების გამგე **კორნევიან** ვის რა საქმე ჰქონდა, რომ ჩაერიენ მის შინაურ საქმიანობაში? თუ მთვრალი მოდიოდა სამსახურში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „მთვრალი კაცია, კაი კაცია“; და მთხოვენ-ლებს უფრო მხიარულად მიეგებებოდა.

**ახალაძე** ვაოხრებული კაციაო... ცოლს სცემხო... კოოპერატივიდან ნაცნობებს სწყალობსო.

ან-და რა სათქმეა — კედლის ვაზეთები არ გამოდისო...

ძალიან კარგია, რომ არ გამოდის, თორემ რომ გამოდიოდეს, ის იმას „გაჭიმავს“, ეს ამას და მოჰყვება ჩხუბი, აყალმაყალი... ეხლა კი ყველა ჰკვიანათ არის.

ტარკორი.

# ქურ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელთა თათბირი

ამირას, 16 მარტს, დღის 12 საათზე, „მუზის“ ჩედაქციაში შესდგება „ტარტაროზის“ თფილისელ თანამშრომელთა თათბირი დასწრება ყველა თანამშრომელთათვის სავალდებულოა



# შ ე ღ ა რ მ ბ ა

(ქუთაისი, საზსარ. სამმართველო)

გზის ოსტ. (ათის თავი) — კაცო, რას გაჩერებულ-  
ნარ ამ დერეფანში?

ათისთავი: შიგ ისეთ აოეულია ყველაფერი, რომ ვერ  
შევედი, ჩემო ძმაო.

ოსტ.: — რა ამბავია მართლა. გუშინწინ მშენებელ  
კავშირის კლუბში ვუყურე მარჯანიშვილის დადგმას „კა-  
კალ გულში“ და თვალწინ ჩვენი სამმართველო წარმო-  
მიდგა; ნამდვილად ჩვენ დაგვიცნოდნენ.

ათისთავი — სწორი შედარებაა, შენ ნუ მომიკვდები.  
ენახოთ რა იქნეს, გამგე რომ დაბრუნდება მივლი-  
ნებიდან. ინჟინერ ორბელიანს რაეარც მოეპრიანება, ისე  
მიპყავს საქმე.

— დრო იშოვა, ბიძია, დრო, ნავარდობს კაცი. ლა-  
ქიებიც ბლომად ჰყავს შემოკრებილი.

— მართლა, რავე გაამსო სამმართველო ამ ძველ  
აზნაურებით: იოსელიანები, ლორთქიფანიძეები, პიპია,  
ტაბია, ვენე და რა ვიცი. ქე მაინც აკეთებდნენ რამეს.

— პირადი ადიუტანტები—კეკუა და მარულაშვილი!..

— მაგისთანა კაცის მნახველი არა ვარ, არც კავში-  
რის წევრია, არც აქვს გამოწერილი სესხი. წვრილმან რა-  
მეზე რას გაუბედავენ. რას უშვება ნეტავ 450 მანეთს.  
შენგან თუ ისესხა ფული, ყინულზე უნდა დასწერო, არ  
გედირსება მისი აღება.

— მაგ მაგია და მაგაზე ნაკლები არც სხვაა. ბუჰ-  
ხალტერმა კოწიამ, გამგის გამგეს რომ ეძახიან, ყოველ სა-

ქმეში, ეხება თუ არ ეხება, ცხვირი უნდა ჩაკრას.

— მართლა, კაცო, ბუჰხალტერიაში შესვლის მეში-  
ნია, უკავია თამარა ლოგუას ხელში სია და ვინცა მომ-  
კვდარა ქუთაისში თანამშრომლის ბებუის მოყვარე, იმის  
ვენოკისათ, და ერთ მანეთიანს გამოგაცლის ხელიდან. ეს  
უნდა მგონია შეათეა ამ ხანებში.

— ერთი მეორეზე უარესები არიან, ჩემო ძმაო. ალი-  
ლოცს რომ რამეს მოსთხოვ, ისე გიყვირებს, რომ გულს  
გაგიხეთქავს.

— ყურს არავინ უგდებს, მიტომ არის ასე. ადგილ-  
კომი ჩვენ სახელად გეყავს, თვარა ჩვენი დარდიც არა  
აქვს. ზამთარი გავიდა, სპეცტანისამოსი არ მოგვცეს და  
მაგიც ორბელიანივით იძახის — იქნება, იქნებაო.

— მაგ რომ კარგი ყოფილიყო, უწინ სხვაგან იყო  
მესტკომათ, მარა თავისი კარგი ბიჭობისათვის დასვეს  
ქონიან ნიჩაფზე და...

— ყველას თავი რომ დაეანებოთ, ამ ბუხრიკიძემ  
შეაწუხა ყველაფერი და კილო არ ითხოვენ. იანეთში გე-  
რავის ნახავ, რომ მაგის მეუღლე არ იყოს.

— მაგ მაგია და ეგ ყურუმსალები შექამენ, შესვამენ  
და მერე გადახდა არ უნდათ, ისეთ დაკარგეს ნდობა, რომ  
ლამეს ვერსად გაათეფ სოფელში.

— ეირია, ეირია ყველაფერი. ნამდვილ „კაკალ გულ-  
ში“ ჩვენი სამმართველოა, თქვენ ნუ მომიკვდებით.  
**ზ. რ. მ. მ.**



## აშირანის შემარღვეს ს. (ახკა- ნა, გური). ჩვენ რომ ეს თქვენი წე- რილი შევასწოროთ ისე, რომ ის და- საბუქდათ გამოდგეს, მაშინ თქვენს წერილიდან ავტორის გარდა არაფე- რი დარჩება. „პელაგია - ანუშკაზე“ უკეთ, გეტყობათ, თქვენც არ გესმის კოლექტივიზაცია. ხომ გაგოგონიათ: „კარგ მთქმელს კარგი გამოიონი უნ- დაო“; სწორედ თქვენზე იქიმის ეს თქმულება.

**ვლ. მინაშვილს (სენაკი) „ებოს“**  
ფურცეს შესახებ გვატყობინებთ,  
რომ:

ხშირად ცხვება ჩვენს ფურცელში  
უსუფთაო, ცოლი პური;  
ვარლამს-კოლას მოუხლებათ  
აუწიოთ მაგრად ქური.

მარტო ყურის აწევისათვის, არ  
ღირს ტარტაროზის მანდ ჩამოსვლა;  
ეს ადვილი საქმეა, „ებოს“. გამეგობა-  
საც არ გაუჭირდებათ ამისი შესრუ-  
ლება.

მეორე ადგილს იმავე ვარლამზე  
ამბობთ:

თუ ნაცნობი არ ხარ მისი —  
სახლში წახვალ ცარიელი.  
მოკრივეა ვაჟ-ბატონი,  
ვითა შოთას ტარიელი;

შოთას ტარიელობა არ არის საძ-  
რახისი. მაგრამ, როგორც სჩანს, ვარ-  
ლამ ჩიჭაია ნინოშვილის ტარიელი  
უნდა იყოს.

**პვინტაძის (ვანი, ქუთ. ოლქი)**

თქვენ დიპეშით გვატყობინებთ, რომ:  
ადგილობრივად მდგომარეობა გადასწყ-  
ვიტეს — გაიკრიგონ, მაგრამ, ვინაი-  
დან გახაკრეჭი ფული არა აქვთ, შუა-  
მდგომლობა აღძრან ტარტაროზის  
წინაშედასაკრეჭ ფულის გამოგზავნის  
შესახებო.

შეგვატყობინეთ საჩქაროდ — რამ-  
დენი გამოგვგზავნოთ ფული.

**მეწუხებულს (ს. დვაბუ, ოსურგეთის მაზრა).** თუ, როგორც  
თქვენ იწერებით:

ავკილო ნინა მუჟავამ,  
მუღამ შამს ისმის რახუნი.  
მასთან შეხვედრა მუჟავა,  
გალახა ჩვენი ვლახუნი.

ამხედრდა მთელი სოფელი  
— ნინაო მოგვაშორეთო.  
ასეთი მეზობელიო  
ჩვენგან მთის იქით, შორეთო. —

პო—და, თუ მართლაც ასეა, რატომ  
არ მიმართავთ ადგილობრივ თემალ-  
მასკომის თავმჯდომარეს — მასაც  
ხომ არა აქვს „ნახშირი ქმულია“?.

**მარტინას (ლანჩხუთი).** მართა-  
ლია, „ტარტაროზის“ ეს ნომერიც  
მარტინა არის, მაგრამ თქვენი მასალა  
არ გამოგვადგა. წერილი გარკვეულ  
ხელით უნდა დასწეროთ სტრიქონე-  
ბის ერთმანეთზე დაშორებით.

**ტიტაბს.** ჩვენი ბრალი არ არის.  
როცა თქვენი წერილი კონკრეტულად  
ამოცასტყენთ და წასაკითხავად გავშა-  
ლეთ, ისე გრძელი აღმოჩნდა, რომ მა-

გიდიდან უფსკერო გოდორის ფსკერს  
ჩასცილდა. გოდორში მოთაქსებულმა  
ავტორებმა უცბად დააქანეს და ჩი-  
ტაცეს გოდორში, საიდანაც ხმა მოგ-  
ვესბა:

— ამზე უარესი არც ჩვენ ვიყა-  
ვით, მაგრამ მაინც აქ გვაკრეფინეთ  
თავი. ეს ჩვენი ამტსონია და ესეც აქ  
იყოს ჩვენთანო.

**ტარ. კავალმის.** თქვენი წერი-  
ლის ერთი ადგილი კარგია, სადაც  
ორი ყოფილი ადამიანი ერთმანეთს  
ელაპარაკება, როცა ხედავენ სიძვე-  
ლეთა შეგროვებას:

— ნეტავი ნავავი მაინც ვიყო, საზ-  
ღვარგარედ გამაგზავნიდნენ და იქ  
ჩვენებთან მივიდოდო.

— შენ გგონია საზღვარგარედ გზა-  
ვნიან ყველა ამ ნავავ - ნუგავს? უმე-  
ტესობას აქვე აღუღებენ, ქარხნებში.  
ჩვენგან კი, რომც გადაგვადუღონ, მა-  
ინც არაფერი გამოვა.

თქვენს წერილიდანაც სახირო  
თუ რამ გამოვიდა, აქვე დაგეტქვით,  
დანარჩენიდან არაფერი გამოვიდა.

**საშას.** რაღაც ისეთი ულახათოა  
თქვენი წერილი, რომ შიგ პასუხის გა-  
საკომი ადგილიც ვერ ენახეთ.

**ლუ-იანამს.** მართლაც ღუ-იანამა  
თქვენი წერილი. გოდორში კი ვადა-  
გავზავნეთ, მაგრამ, მოსალოდნელია  
— იქაც არ მიიღონ და სთქვან: — ეს  
რა აბდა - უბდა და ჩმახვა გამოუგზა-  
ვნია ტარტაროზსო.



# უცხოელი ჩვენში



ვარჯიზობენ რაღა! ჩვენ კი სხვანაირად გვესმის ქალთა გათანასწოლება.

ჩუღაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319.